პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 170 (13255) | ოთხშაბათი, 21 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

## რესპუბლიკის საწარმოებში

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ექვსი თვის დავალება გადაჭარბებით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია მისცა ქვეყანას. აქ გამოშვებული პროდუქცია — ცხენის კულტივატორები, ბორდოს ხსნარის შესასხურებელი აპარატები, ჩაის ბუჩქის სასხლავი მაკრატლები და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოები, თავისი მაღალი ხარისხით, ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. სამეურნეო წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა, ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც რევაზ ლელუაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე სამეურნეო წლის ექვსი თვის დავალება ვადაზე ადრე გაანაღდა და წარმოებას 8 ათას მანეთამდე ზეგეგმითი პროდუქცია ჩააბარა. ბრიგადის მიერ გამოშვებული პროდუქცია — არასტანდარტული მოწყობილობა — მაღალი ხარისხისაა.



სურათზე: ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის თავკაცი რ. ლელუაშვილი (მარჯვნივ) და ზეინკალი ი. მარღანია მუშაობის დაწყების წინ ამოწმებენ თუჯის სხმულის საწმენდი დოლურების დეტალებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ეკონომიკა — წინსვლის ბარომეტრი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა სოფლის მშრომელებს ფართოდ გაუხსნა გზა საკუთარი ინიციატივის გამოსავლინებლად, მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად, საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკის განსამტკიცებლად. მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად იქმნება მტკიცე ეკონომიური საფუძველი იმისათვის, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოების ყველა უბანი განვითარდეს და რენტაბელური იყოს.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოღვაწეობაში მთავარი და გადამწყვეტია მათი ეკონომიური მაჩვენებლები: მინდვრისა და პლანტაციების, ფერმის ნაყოფიერება, თვითეული დარგის რენტაბელობა პროდუქციის თვითღირებულება, შრომის ანაზღაურების დონე და სხვ. წარმოების მაღალ ეკონომიურ ეფექტურობას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელები ავლენენ და სრულყოფილად იყენებენ ყოველგვარ რესურსებს, მაღალნაყოფიერად ამუშავებენ ტექნიკას, უფრთხილდებიან ყოველ მანეთს.

რესპუბლიკის ბევრი რაიონის მეტი წილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამ უკანასკნელ ხანს ეკონომიურად უფრო მომძლავრდნენ. ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებამ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების მომატებით, წლობით დაგროვილი ვალების ჩამოწერით წინათ არარენტაბელური დარგები ახლა მომგებიანი გახდა.

მარნეულის რაიონის ყაჩაღნის საბჭოთა მეურნეობაში მემინდვრეობა. მიუხედავად სამუშაოთა მთლიანი მექანიზაციისა, წინათ არარენტაბელური იყო. ახლა ასე აღარ არის. წელს ეს დარგი მომგებიანი გახდა, ვინაიდან სახელმწიფომ პურის შესასყიდი ფასები საგრძნობლად გაადიდა. წელს მათ ტონა პურის წარმოებაზე 50 მანეთი დაეხარჯათ, სახელმწიფო კი 90 მანეთს აძლევს. ხოლო ყოველ ზეგეგმით ტონა მარცვალზე — 135 მანეთს. როგორც ვხედავთ, გეგმის მიხედვით ჩაბარებულ ყოველ ტონა პურზე მეურნეობას 40 მანეთი მოგება რჩება, ხოლო გეგმის გადაჭარბებით ჩაბარებულზე — 85 მანეთი.

მსგავსი მაგალითების მოყვანა ყველა რაიონიდან შეიძლება. ეს დიდი დახმარებაა საზოგადოებრივი მეურნეობისათვის. ახლა საქმე ის არის, რომ მიღებული მოგება საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეს მოხმარდეს. ეს თანხა გონივრულად უნდა გამოიყენონ, იბრძოლონ იმისათვის, რომ ყველა დარგი რენტაბელური იყოს, რომ მეურნეობა ეკონომიურად მტკიცე იყოს, რათა მშრომელთა შრომის ანაზღაურება ყოველდღიურად უმჯობესდებოდეს. მატერიალური დაინტერესება კი შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი უტყუარი გზაა.

რესპუბლიკაში ბევრმა კოლმეურნეობამ თავისი ეკონომიური სიძლიერით გაითქვა სახელი. ასეთებია წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის, ზემო ქედის, ჯაფარიძის, გურჯაანის რაიონის ველისციხის, მახარაძის რაიონის შრომის, ნატანების, ძიმითის, ზუგდიდის რაიონის რუხის და ბევრი სხვა კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობებს წლების მანძილზე სასახელოდ ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის ნოვატორები — ნ. მამაიაშვილი, ა. კობაიძე, ნ ყოჩიაშვილი, დ. მამისაშვილი, მ. ორაგველიძე, გ. წითლიძე, ს. მუხაშავრია, ა. კუტალია. მათ შესანიშნავად ესმით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა. იციან, მათდამი დაქვემდებარებულ საზოგადოებრივ მეურნეობაში რომელი დარგია მომგებიანი, კარგად იყენებენ ტექნიკას. მაღალ დონეზე აქვთ დაყენებული შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა.

წარმოუდგენელია მეურნეობის მართვა ისე, თუ ხელმძღვანელმა არ იცის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა. წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობაში 1946 წლიდან ყოველწლიურად აკეთებენ საწარმოო პასპორტს, რომელშიც ნათლად არის ნაჩვენები ყოველწლიური შემოსავალ-გასავალი დარგებისა და საწარმოო ბრიგადების მიხედვით. საწარმოო პასპორტი ჯაფარიძის კოლმეურნეობის ეკონომიკის უზადო სარკეა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ყოველთვის, როცა გეგმებს ადგენენ, კრიტიკული თვალით გადახედავენ ხოლმე საწარმოო პასპორტს და შემდეგ

[illegible]

ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებას, შრომის ანაზღაურების წესების დაცვას და სხვ.

წინათ გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ყველა კულტურას თესავდნენ, მაგრამ ბევრი არარენტაბელური იყო და ზარალს იძლეოდა. ახლა ასე აღარ არის. ზოგან მებოსტნეობაა წამყვანი, ზოგან მეცხოველეობა, ზოგან კი მევენახეობა და სხვ. შიდასამეურნეო სპეციალიზაციის განუხრელად დაცვის შედეგად მეურნეობები ეკონომიურად მომძლავრდნენ. თელეთის საბჭოთა მეურნეობა ადრე სუსტი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა, მაგრამ იმის გამო, რომ აქ შიდასამეურნეო სპეციალიზაცია არ იყო დანერგილი, მეურნეობა ზარალიანი იყო. ახლა ეს მეურნეობა სპეციალიზებულია და აქ განვითარებული სოფლის მეურნეობის ყველა დარგი თითქმის რენტაბელურია.

შრომის დისციპლინის, საფინანსო ანგარიშსწორების დარღვევა კოლმეურნეობის ეკონომიკაზე და საერთო საქმიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ავიღოთ გორის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა. ამას წინათ რაიონის ხელმძღვანელებმა გულდასმით შეისწავლეს კოლმეურნეობების საქმიანობა და აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ არის წესრიგი დამყარებული კოლმეურნეებთან ანგარიშსწორებაში. 1964 წლის შრომადღეების ხვედრი მიმდინარე წლის პირველ ივნისამდე გაცემული არ იყო ბერშუეთის კოლმეურნეობაში. ამ თანხამ აქ 3.000 მანეთი შეადგინა. ხელთუბნის კოლმეურნეობაში კი კოლმეურნეებს შარშან გამომუშავებულ შრომადღეებზე 75 ცენტნერი ხორბალი, 592 ცენტნერი სიმინდი და 1.785 მანეთი ფული არ მიუღიათ. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა შრომის დისციპლინის მოშლას იწვევს და საზოგადოებრივ საქმიანობას უკან სწევს. არც ის არის კარგი, როცა კოლმეურნეებს ავანსის სახით ზედმეტად აძლევენ პროდუქტებსა და ფულს. დიცის კოლმეურნეობაში შარშან ზედმეტად გაცემული ავანსებით მიღებულმა დავალიანებამ 1.658 მანეთი შეადგინა, ნიქოზის კოლმეურნეობაში კი 6.000 მანეთი. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია.

ასეთ და სხვა მსგავს ფაქტებს დროა ბოლო მოეღოს. კოლმეურნემ შრომადღეზე კუთვნილი პროდუქტები და ფული დროზე უნდა მიიღოს, ხოლო ავანსის სახით მიღებული თანხა უნდა დაუკავდეს. ეს ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო შრომის დისციპლინის დაცვას.

ყველასათვის ცნობილია, რომ ყოველი უმოქმედო მანქანა, ყოველი ცენტნერი დაკარგული მინერალური სასუქი ქარის წაღებული ფულია. უქმად დახარჯული შრომაა. მანქანა რომ გაკეთდეს, ხომ საჭიროა ლითონი, რომელიც ადამიანის შრომით მოიპოვება, ხოლო ამ მანქანის აგებისა და სოფლის მშრომელთათვის გაგზავნამდე ხომ იხარჯება კონსტრუქტორის, ინჟინრის, მუშის შრომა. ერთი სიტყვით, ყოველი მექანიზმი ათასობით ადამიანის შრომის ნაყოფია. მაშ რატომ ვურიგდებით ისეთ მდგომარეობას, როცა ძვირფასი მანქანა მინდორში თუ ფერმის ახლოს უქმად გდია და ჟანგდება? ასეთი ფაქტები კი არც ისე იშვიათია ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობების სინამდვილეში.

კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ცუდად წარმართავს თავის მეურნეობას, არ უფრთხილდება ტექნიკას, ყოველ კაპიკს, ნებსით თუ უნებლიეთ სახელმწიფოს ზარალს აყენებს, არევდარევა შეაქვს თავის ეკონომიკაში.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვს ეფექტურად გამოვიყენოთ ყოველგვარი რესურსები, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ საერთო ქონებას, განვამტკიცოთ საზოგადოებრივი მეურნეობები ეკონომიურად. მხოლოდ ასეთი მაღალი მორალური თვისებებით უნდა აღვზარდოთ ჩვენი ადამიანები. ამაში უპირველესი სიტყვა უნდა თქვან კომუნისტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

## შრომითი პატაკები

**ახალციხე.** (საკ. კორ.). ელექტროძრავების ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით მუდმივი დენის სხვადასხვა მარკის რამდენიმე ელექტროძრავი გამოუშვა.

განვლილი დროის მანძილზე ზეგეგმითმა მოგებამ 13 ათას მანეთს გადააჭარბა.

**სამტრედია.** (საკ. კორ.). შვიდწლედის დამამთავრებელ სამეურნეო წელში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს ხილის წყლების ქარხანა. აქ ექვს თვეში გამოშვებულია 25 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

საუკეთესო შედეგებით გამოირჩევა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც გ. დუნდუა ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 6 თვის დავალება 115 პროცენტით შეასრულა.

**წალენჯიხა.** (საკ. კორ.). ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორამ ხე-ტყის დამზადებისა და გამოზიდვის ნახევარი წლის გეგმა 109 პროცენტით შეასრულა.

დაწინაურდნენ თორსას, ქარიატის, ჯუმის და ბარხის დამზადების სასტატოები, ჭალადიდის ხე-ტყის დამზადების უბანი, ლახანის სასტატო.

## წნეხები შექმნეს რაციონალიზატორებმა

**ქუთაისი** (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროში ამ დღეებში სამი ახალი ჰიდროწნეხი დაამონტაჟეს და აამუშავეს.

საამქროს მექანიკოსს გ. ჭელიძეს ახალი წნეხების შექმნის იდეა დაებადა იმასთან დაკავშირებით, რომ ძველი წნეხები ავტომობილის სიჩქარის კოლოფის კბილანებში სარგულის წნეხვის ოპერაციებს ვეღარ აუდიოდნენ. ჩანაფიქრის განხორციელება რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ამ ბრიგადამ ითავა, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ი. ხაზარაძე უძღვება.

რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრების — თვით მექანიკოს გ. ჭელიძის, № 2 სამსხმელო საამქროს ტექნიკური ნაწილის უფროსის უ. მიქაძის, № 2 საწნეხე საამქროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის ო. მხეიძისა და თერმული საამქროს უფროსის შ. ქოხონელიძის მეცადინეობით შეიქმნა და ახლა სრული დატვირთვით მუშაობს ახალი ჰიდროწნეხები.

მარტო ამ წნეხების შექმნით ი. ხაზარაძის რაციონალიზატორთა ბრიგადამ ქარხანას 7.000 მანეთი დაუზოგა.

## გრაფიკის გასწრებით

**თბილისის** ლითონის კონსტრუქციათა ქარხნის კოლექტივი იბრძვის შვიდწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. მან ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. ჩვენი რესპუბლიკის, აგრეთვე ყამირის მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ქარხანამ გრაფიკის გასწრებით, გაუგზავნა ცისტერნები, რეზერვუარები, ლითონის კასრები და სასოფლო-სამეურნეო აგრეგატები. (საქინფორმი).

## პირველ ადგილზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). წარმოების მაღალი კულტურით, უსაფრთხო და უავარიო მუშაობით გამოირჩევა ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონის სადგურის კოლექტივი. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე სადგურის კოლექტივს ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევის ერთი შემთხვევაც კი არა ჰქონია. აქ დაინერგა მრავალი ახალი სიახლე.

სადგურის კოლექტივი წარმოების მაღალი კულტურისათვის იბრძვის. განსაკუთრებით ზრუნავენ სისუფთავისა და წესრიგისათვის, მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის. გალამაზდა სადგურის ეზო და ბაქანი. იქ დაირგო დეკორაციული მცენარეები, მოეწყო სასტუმრო, ტექნიკური უსაფრთხოების კაბინეტი, წითელი კუთხე. ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სადგურის გამართულ მუშაობას. სადგურის კოლექტივმა ნახევარი წლის დავალება 118 პროცენტით შეასრულა. გადაზიდა ათეული ათასი ტონობით ზეგეგმითი ტვირთი.

ამ მაჩვენებლებით სადგურის კოლექტივმა გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრება-კონკურსში. სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტროს ხაზით მას მესამე, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზაზე პირველი ადგილი მიენიჭა. სადგურის კოლექტივი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და პროფკავშირთა საგზაო კომიტეტმა საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს.

ზესტაფონელ რკინიგზელთა გამოცდილების განზოგადებისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ აქ მოაწყო მოწინავეთა გამოცდილების სკოლის მეცადინეობა, რომელსაც ესწრებოდნენ რკინიგზელები ბაქოდან, ერევნიდან, თბილისიდან, ხაშურიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, სამტრედიიდან, ქუთაისიდან, ჭიათურიდან, ფოთიდან და სხვ.

სადგურ ზესტაფონის გამოცდილებაზე ვრცლად ილაპარაკა სადგურის უფროსმა ვ. ცხადაძემ. მეცადინეობას ესწრებოდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები.

## მეავეჯეთა წარმატება

**მარელისის** გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მეავეჯეებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა 102,6 პროცენტით შეასრულეს. 176 ათასი ცალის ნაცვლად გამოშვებულია 183.100 ცალი სკამი.

შრომაში დაწინაურდნენ პირველი მექანიკური სახელოსნო (უფროსი ბ. კიკნაძე), ტრაპეციული განყოფილების კომუნისტური შრომის ბრიგადა (ხელმძღვანელი თ. არევაძე), ამწყობ-გამლაქავი სასტატოს კომუნისტური შრომის ბრიგადა (ხელმძღვანელი ვ. მუმლაძე).

პ. ნებიერიძე.

## სიახლე ქარხანაში

**აბაშის** ეთერ-ზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელ ქარხანაში დაიდგა რეჰანის ეთეროვანი ზეთის კომბინირებული ტიპის მიმღები აპარატი.

აპარატი, რომლის კონსტრუქტორია ინჟინერი ლუდმილა სურინა, ცვლის ძველი სისტემის მიმღებ 22 ჭურჭელს, რითაც საგრძნობლად გაიზარდა ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობა და მინიმუმამდეა დაყვანილი დანაკარგები.

ამ ახალი დანადგარების დამონტაჟებაში თავი ისახელეს ქარხნის მექანიკოსმა ა. გოგინეიშვილმა, ზეინკლებმა ქ. ჯიბლაძემ, ტ. ქვანიამ და ვ. კეჟერაძემ.

ვ. ცომაია.

## გულითადი შეხვედრები

რიგა, 19 ივლისი (საქინფორმის სპეც. კორ.). ბალტიის ზღვის ფლოტის ხომალდების დათვალიერების შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, საბჭოთა ლატვიის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, აგრეთვე მთელი რიგი იმ დელეგაციების მეთაურები, რომლებიც რესპუბლიკის 25 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ, წავიდნენ პლიავის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით ას კილომეტრზე მდებარეობს.

ბალტიისპირეთის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს.

რიგა, 20 ივლისი (საქინფორმის კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. პელშე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. რუბენი და ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. გაილე დღეს ეწვივნენ აბრეშუმქსოვ კომბინატ „რიგას აუდუმსს“ და ტრიკოტაჟის ფაბრიკა „რიგას ადიტაისს“. ისინი გაეცნენ საწარმოო პროცესს, ესაუბრნენ მუშებსა და ოსტატებს.

დღესვე ა. ნ. კოსიგინი, ლატვიის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტს.

## მიღება კრემლში

20 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა კრემლში მიიღო კანადის საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს თემთა პალატის სპიკერი ალან მაკნოტონი და სენატორი დევიდ კროლი. დელეგაციის წევრებთან ერთად მიღებაზე იყო კანადის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჯ. გ. ბრაუნი.

ა. ი. მიქოიანსა და კანადის პარლამენტარებს შორის შეხვედრის დროს გაიმართა გულითადი, გულწრფელი საუბარი. დელეგაციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საბჭოთა კავშირში კანადელ პარლამენტარების მოწვევისა და მრავალი მასპინძლობისათვის. მათ აღნიშნეს, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა

## შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად



**მსოფლიო** კლასიკური ლიტერატურის საგანძურს ეკუთვნის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. დიდი ქართველი პოეტის გენიალური ნაწარმოები ითარგმნა სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა მრავალ ენაზე. შოთა რუსთაველის შემოქმედებამ, რომელიც პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეებითაა გამსჭვალული, დიდი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის განვითარებაზე.

1966 წლის სექტემბერში შოთა რუსთაველის დაბადების 800 წელი სრულდება. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით შეიქმნა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტი პოეტ ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით. კომიტეტის შემადგენლობაში არიან მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

მოსკოვი. (საქინფორმი).

## ერთობლივი კომუნიკე

მოლაპარაკების შედეგად, რომელსაც გამბიის დედაქალაქ ბატერსტში აწარმოებდნენ სსრ კავშირის ოფიციალური წარმომადგენელი, სსრ კავშირის ელჩი სენეგალის რესპუბლიკაში ვ. ი. ეროფეევი და გამბიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი დ. კ. ჯავარა, შეიმუშავეს და 1965 წლის 17 ივლისს ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გამბიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ელჩების დონეზე დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლის შესახებ.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში. ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირსა და გამბიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებას და დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში. (საქინფორმი).

## სოლიდარობის აღსანიშნავად

**20 ივლისს** მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ამერიკის ...

# მინდვრებსა და პლანტაციებში



### პურეულის მკა

**ახლა** ჩვენი რესპუბლიკის მინდვრებში გაჩაღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. გეგმით ასაღებია 269.830 ჰექტარი. უკვე მომკილია გეგმის მესამედი. მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდება ყვარლის, სიღნაღის და სხვა რაიონებში.

მარნეულის რაიონში პურეული მომკილია გეგმის თითქმის ორი მესამედი. რაიონის მხვნელ-მთესველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დავალება.

პურეულის მკა გაჩაღდა ქართლის რაიონებში. ქარელის, ხაშურის, გორის, მცხეთის, კასპის რაიონებში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 10-25 პროცენტით. მალე მკის ფრონტი მთიან რაიონებში გადაინაცვლებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსამკელია 14.082 ჰექტარი, მომკეს პირველი ათასი ჰექტარი.

### გეგმის გადამეტებით

**მიუხედავად** ამინდის მეტად არახელსაყრელი პირობებისა, წულუკიძის მეაბრეშუმეობის საჯიშე სასელექციო სადგურის კოლექტივმა (დირექტორი ვ. შელია). პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. გეგმით უნდა დამზადებულიყო 5.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ფაქტიურად დამზადდა 5.400 კილოგრამი.

პარკის დამზადება გრძელდება.

**გულრიფშის** რაიონის მეაბრეშუმეებმა 16 ივლისისათვის შეასრულეს პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. დამზადებულია 940 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 930 ცენტნერისა, ანუ გეგმის 101 პროცენტი.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

### მეჩაიეთა ტონები...

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეჩაიეები დღითიდღე აძლიერებენ უხვად შემოსული ჩაის ფოთლის კრეფის ტემპს. ოჩამჩირელებმა წელს გეგმით 10.350 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული უნდა მოკრიფონ. უკვე მოკრეფილია 4.800 ტონაზე მეტი.

ივლისში გეგმით მოსაკრეფია 2.278 ტონა ჩაის ფოთოლი, 20 ივლისისათვის მოკრეფილი იყო 1.300 ტონამდე. წარმატებით მიმდინარეობს ფოთლის კრეფა ჭლოუს, ბესლახუბის, კოჩარის კოლმეურნეობებში. ჭლოუს კოლმეურნეობაში მრავალი მეჩაიე დაწინაურდა. აღსანიშნავია ბ. აკაბას შრომითი მამაცობა. მან უკვე მოკრიფა 4.200 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. დღეში 60-75 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. ამავე კოლმეურნეობაში გ. ავიძბამ ერთ დღეს 80 კილოგრამზე მეტი ფოთოლი მოკრიფა.

ოჩამჩირელ მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ ივლისის დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულონ.

### დავაჩქაროთ თიბვა

**წელს** რესპუბლიკაში უნდა გაითიბოს 209.202 ჰექტარი ნათესი და ბუნებრივი ბალახი. როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 15 ივლისის ცნობებიდან ჩანს, ეს სამუშაო ჩამორჩება. გათიბულია 20.831 ჰექტარი, ანუ გეგმის 10 პროცენტი.

ახალციხის რაიონში გეგმით უნდა გაითიბოს 9.212 ჰექტარი, გათიბულია 351 ჰექტარი. გარდაბნის რაიონში გათიბეს 5.044 ჰექტარი, დავალება შესრულებულია 47,6 პროცენტით. მარნეულის რაიონს გეგმა შესრულებული აქვს 51,5, ბოლნისის — 51,2, ლაგოდეხის — 51,3 კასპის — 42,1, გურჯაანის — 38,4 თელავის — 37,6, ყვარლის — 31,8, გორის —31,3, სიღნაღის — 35,2, წითელწყაროს — 27,4, ხაშურის — 26,9, ახმეტის —21,1, საგარეჯოს — 17,3 ქარელის — 10,2 დუშეთის — 5,7, დმანისის რაიონს — 1, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 4 პროცენტით.

## რუმინელ კომუნისტთა ყრილობაზე

## პორტუგალიის გვინეის პატრიოტთა წარმატებანი

... დატყვევეს ბევრი სამხედრო ტექნიკა. აჯანყებულთა არმიას დაუხოცეს სამი კაცი და დაუჭრეს — 12.

## სუდანის მთავრობის განცხადება

**ხართუმი,** 20 ივლისი, (საქინფორმი). სუდანის სამხრეთის აჯანყებულ ტომებს წინადადება მიეცათ 21 ივლისიდან 15 ... რობის ძალები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაანადგურონ აჯანყებულები.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია: მთავრობა ილტვის, რომ ერთიანი სუდანის ფარგლებში სამხრეთის პრობლემა მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით ...

კომუნისტი

# მასების კონტროლით!

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის გვერდი

№28

ამ გვერდში წაიკითხავთ:

- თელაველებმა უნდა დააჩქარონ პურეულის მოსავლის აღების ტემპი
- ნაკლს აღმოფხვრიან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის დახმარებით
- ჩვენი მკითხველების მახვილი თვალით

## ჩვენი დასაყრდენი აქტივია

საად არ სწვდება ცხინვალელ სახალხო კონტროლიორთა თვალი და ყური! ქალაქის სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში შექმნილია პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი 99 ჯგუფი და 136 საგუშაგო, რომლებშიც 1.475 კაცია გაერთიანებული. მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იქნებოდა მუშაობაში წარმატება, თუ სახალხო კონტროლიორები აქტივს არ დაეყრდნობოდნენ. ამიტომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტში შექმნილია შტატგარეშე განყოფილებები, რომელთა მუშაობაში ჩაბმულია 48 საზოგადოებრივი ინსპექტორი. ესენი ინიციატივიანი, განათლებული ადამიანები არიან და ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვთ. თითქმის ყველა მათგანი კომუნისტია.

მკითხველისათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება მოვუთხროთ, თუ როგორ მუშაობენ შტატგარეშე განყოფილებები. ავიღოთ, მაგალითად, მრეწველობის განყოფილება, რომელსაც ინჟინერ-ელექტრიკოსი ი. სანაკოევი ხელმძღვანელობს. განყოფილების საზოგადოებრივი ინსპექტორები ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიის რეჟიმის დაცვის, წარმოების რეზერვების გამონახვისა და სხვა საკითხებზე. ამ რამდენიმე ხნის წინათ განყოფილებამ აქტივის, ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრთა დახმარებით შეამოწმა სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში მოწყობილობის გამოყენების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ბევრგან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ არსებულ რეზერვებს. განყოფილების წინადადებანი, რომლებიც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა მოიწონა, წარმოებაში დაინერგა. განყოფილებამ შეისწავლა აგრეთვე რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირების საკითხი, შეამოწმა № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომეურნეობის მდგომარეობის, ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციისა და საწვავის გამოყენების სისწორე. ამ შემოწმებამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ოპერატიულად აღმოფხვრას, საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას.

კომიტეტი ხელშემწყობ ჯგუფებთან კავშირს ახორციელებს აგრეთვე საორგანიზაციო მუშაობის შტატგარეშე განყოფილების დახმარებით. განყოფილება განაზოგადებს ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის გამოცდილებას. განყოფილების წინადადებით კომიტეტი განიხილავს ხელშემწყობი ჯგუფების ხელმძღვანელთა მოხსენებებს.

სემინარულ მეცადინეობაზე მოხდა ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელთა მუშაობის გამოცდილების გაზიარება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი ჯგუფის გამოცდილება ყურადღების ღირსია. მაგალითად, ქარხანა „ემალპროვოდის“ ხელშემწყობმა ჯგუფმა დაადგინა, რომ საწარმოში ვიწრო ადგილია ტექნოლოგიური ნარჩენების დიდი პროცენტი. ხელშემწყობმა ჯგუფმა, რომელმაც საკითხი შეისწავლა, იგი საწარმოო თათბირზე განიხილა და შესაბამისი ღონისძიებანი დასახა.

ახლა, გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით, ტექნოლოგიური ნარჩენები 3.8 პროცენტით შემცირდა. ჯგუფი ქარხანას დაეხმარა დაეწესებინა კონტროლი დამზადებათა გრაფიკის დაცვასა და წარმოების მთელი ციკლის რიტმულ მუშაობაში, სხვადასხვა კვეთის მომინანქრებული სადენების გამოშვების გადიდებასა და პროდუქციის წუნის შემცირებაში.

კონტროლის ნამდვილ ენთუზიასტებად გვიჩვენეს თავი ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ ხელშემწყობი ჯგუფის წევრებმა, რომელთა მიერ დამზადებული პროდუქცია საზღვარგარეთის 18 ქვეყანაში იგზავნება. [illegible]

[illegible] ბების ბაღებსა და ვენახებში წამლობის მდგომარეობა. შემოწმების მასალები განხილულ იქნა კოლმეურნეობათა გამგეობებისა და ხელშემწყობი ჯგუფების გაერთიანებულ სხდომებზე, რომლებსაც დაესწრნენ ბრიგადირები და სპეციალისტები.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტს გვერდი არ აუვლია ისეთი ანტისახელმწიფოებრივი ფაქტისათვის, როგორიც არის მიწათსარგებლობის წესების დარღვევა. კომიტეტმა პროკურატურისა და სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების მუშაკებთან ერთად გამოავლინა მიწათსარგებლობის წესების სერიოზული დარღვევები სოფელ არცევის კოლმეურნეობის ყოფილი გამგეობისა და ერედვის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექციის მხრივ. სოფელ არცევის კოლმეურნეობაში 1964 წელს და 1965 წლის დასაწყისში ცალკეულმა კოლმეურნეებმა უკანონოდ მიიტაცეს 13 ჰექტარზე მეტი მიწა, ხოლო ერედვის საბჭოთა მეურნეობაში სათეს ფართობებზე გასცეს მიწის ნაკვეთები ვ. მიდოდაშვილზე, გ. ბორცვაძესა და შ. აზალაძეზე.

შემოწმების პროცესში სოფელ არცევის კოლმეურნეობიდან თვითნებურად მიტაცებული ნაკვეთების ნაწილი დაუბრუნდა არტელს. რაც შეეხება ვ. მიდოდაშვილს, მისი მასალები ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიმდინარე წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით გადაეგზავნა საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

[illegible] თავმჯდომარეების, საგუშაგოების ხელმძღვანელებისა და შტატგარეშე აქტივისტებისათვის რეგულარულად აწყობენ სემინარულ მეცადინეობას, რომელზეც ლექციებითა და მოხსენებებით გამოდიან საქალაქო კომიტეტის მდივნები, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ეკონომისტები და ბუღალტრები. სემინარის მონაწილენი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

როგორც წესი, სემინარები ეწყობა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვითაც.

შემოწმებების დაგეგმვის დროს უწინარეს ყოვლისა მხედველობაში ვიღებთ პარტიისა და მთავრობის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, ვითვალისწინებთ აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმებსა, ბიუროს სხდომებსა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს. ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევს საწარმოთა მუშაობის ანალიზის მასალები, სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის წევრთა, შტატგარეშე განყოფილებების აქტივისტთა წინადადებები, ხელშემწყობი ჯგუფებისა და მშრომელთა ზეპირი და წერილობითი სიგნალები.

ჩვეულებრივად კომიტეტი წინასწარ აცნობებს საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელებს განზრახულ შემოწმებას, მის მიზნებსა და ამოცანებს.

[illegible] „ემალპროვოდის“ უფროსმა ინჟინერ-ენერგეტიკოსმა ვ. სლავინსკიმ ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის ხელშემწყობი ჯგუფის წინადადებით შტატგარეშე განყოფილების ინსპექტორებთან და ხელშემწყობი ჯგუფის წევრებთან ერთად შეამოწმა კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. გამოვლინდა არსებითი ნაკლოვანებანი. უხარისხო ნედლეული და მასალები, არასაკმარისი და არარიტმული მომარაგება, საწარმოო ფართობის ნაკლებობა, მუშათა დაბალი კვალიფიკაცია — აი მთავარი მიზეზები, რომლებიც აქ პროდუქციის ხარისხზე მოქმედებდნენ.

ამ საწარმოს მუშაობის ზოგიერთი საკითხი განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა, რის შემდეგაც კომბინატის საქმიანობაში განსაზღვრული ძვრები მოხდა.

ან ავიღოთ სხვა მაგალითი. სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს ხელშემწყობმა ჯგუფმა შეისწავლა სამშენებლო მოწყობილობის გამოყენების საკითხი. სახალხო კონტროლიორებმა გამოავლინეს, რომ მშენებლობისათვის განკუთვნილი მოწყობილობის ნაწილს (სულ 10 დასახელებისას) არ იყენებდნენ. ხელშემწყობმა ჯგუფმა ეს საკითხი შეიტანა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის განსახილველად. აგრეთვე ადგილზევე მიიღო ზოგიერთი ზომა მოწყობილობის გამოსაყენებლად. ახლა სამშენებლო მოწყობილობას თითქმის მთლიანად იყენებენ.

ცხინვალის ხორცკომბინატის ხელშემწყობმა ჯგუფმა შეისწავლა ლენინგორის რაიონში ცხოველდამზადების დამოუკიდებელი კანტორის შექმნის სისწორე. ხელშემწყობი ჯგუფის აზრით, ასეთი კანტორის გახსნას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა და მხოლოდ ზედმეტი სახსრების ხარჯვას იწვევდა. ჯგუფმა ამ საკითხზე მიმართა ზემდგომ ორგანოებს. მალე შუამდგომლობა ცხოველდამზადების ლენინგორის რაიონული კანტორის შექმნის შესახებ უარყოფილ იქნა, რამაც სახელმწიფოს წლიურად 1.920 მანეთი დაუზოგა.

ასე წყვეტენ ჩვენი ქალაქის სახალხო კონტროლიორები აქტივზე დაყრდნობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

**პ. ჯიოევი,**
პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

## საქორები მოუხმობენ ექიმებს

ზაფხულობით ჩვენი რესპუბლი[...] დიდძალი პირუტყვი მიჰყავთ საზაფხ[...]ლო საძოვრებზე, მთებში. ცხვარს [...]სობით მწყემსი ემსახურება. სამწუ[...] როდ, ზოგან მწყემსები ოთხი თვის [...] ნმავლობაში (მაისი, ივნისი, ივლ[...] აგვისტო) მოკლებული არიან სამედ[...]ცინო დახმარებას. არის შემთხვევ[...] აპენდიციტის გართულებისა, რაც გა[...]უდებელ ოპერაციას მოითხოვს. [...] ასეთ ავადმყოფს რაიონის ცენტრში [...] რომელიმე უახლოეს საავადმყოფო[...] გადმოიყვანდნენ, მისი მდგომარე[...] უარესდება. არის სხვა ავადმყოფობ[...] რომელიც ადგილზე გადაუდებელ და[...]მარებას მოითხოვს.

ყურადღება უნდა მიექცეს აღმა[...]ნებს, რომლებსაც ასეთი ძვირფასი [...]ნება აბარიათ. მათაც უნდა ჰქონდეთ [...] დაუდებელ შემთხვევებში მკურნალ[...]ბის საშუალება.

ცუდი არ იქნება, ჯანმრთელობის [...]ცვის სამინისტრო თუ შექმნის სამედ[...]ცინო მომსახურების მოძრავ საავა[...] კაბინეტს, რომელიც შეიძლება მოე[...]ყოს მანქანაზე ელექტროაგრეგატით [...] დაკომპლექტდეს კვალიფიციური [...]ციალისტებით, როგორიც არიან ქირ[...]რგი, თერაპევტი, სტომატოლოგი. განსაკუთრებით საჭიროა დმანისის, [...]ლკის, ბოგდანოვკის და ახალქალა[...] რაიონების საზაფხულო საძოვრებზე.

ასეთი გადაუდებელი ღონისძიების გა[...] ხორციელება ხელს შეუწყობს მეცხ[...]ველეობის განვითარებას, უფრო [...]ლისოს გახდის მეცხოველეთა, განსაკ[...]თრებით მწყემსთა მუშაობას.

**ვ. გოგიჩაშვილი,**
გარდაბნის რაიონის თელეთის მეძ[...] ძევეობის საბჭოთა მეურნეობის მთა[...]ვარი ვეტექიმი.

## მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია!

„კომუნისტის“ რეიდი

უკვე ათ დღეზე მეტია, რაც თელავის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყანებში ველის ხომალდები გუგუნებენ.

„მოწინავე“. — ტყუილად როდი შეურქმევიათ ეს სახელი აკურის კოლმეურნეობისათვის. აქ ყველა დარგს მზრუნველი ხელი ატყვია. აკურელები ხორბლის მოსავლიანობას წლითიწლობით ზრდიან. წელს ისინი შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე ექვსი ცენტნერით მეტ პურს იღებენ. აკურელებმა კარგად იციან, რომ მოსავალი ის კი არ არის, რაც მინდორშია, არამედ ის, რაც ბეღელშია. იციან, და მთელ ძალებს ძაბავენ მკის სწრაფად დასამთავრებლად.

მ. ჭურღულაშვილი წელს პირველად მიუჯდა კომბაინის საჭეს, მაგრამ „სტალინეც-6“ მარკის მანქანას შეუფერხებლად ამუშავებს. ირიჟრაჟებს თუ არა, მკას იწყებს და ღამის თორმეტ საათამდე აგრძელებს. 10-12 ჰექტარი — ასეთია მისი კომბაინის დღიური „ულუფა“. მან პირველი ასი ჰექტარის მომკა უპატაკა კოლმეურნეობის გამგეობას.

როცა მკის პირველი ხუთი დღის შედეგები შეაჯამეს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა კომბაინერი გ. სიდამონიძე. მას დღეში საშუალოდ 13 ჰექტარი გამოუყვიდა მომკილი. კალოზე ათასი ცენტნერი ოქროსავით ხორბალი გაგზავნა. მას არც გ. ამუზაშვილი ჩამორჩა. იგი თვითმავალი კომბაინით დღიური გეგმის გადამეტებით 2-3 ჰექტარსა მკის.

აკურელებს მომკილი ნაკვეთებიდან სწრაფად გამოაქვთ ნამჯა, წნეხავენ და მეცხოველეობის ფერმებთან ეზიდებიან. მექანიზატორები ნაწვერალზე ხვნას და სიმინდის თესვას აჩქარებენ. დათესილია პირველი 110 ჰექტარი.

კონდოლის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე თ. ახალმოსულიშვილი) მინდვრებში დღედაღამ არ წყდება მუშაობა. პურეულის გაწმენდა-დაბინავებაზე მომუშავეებს დიდი ჯაფა ადგიათ. კალოზე წამდაუწუმ მიდიან ხორბლით დატვირთული ავტომანქანები.

დღემდე გაწმენდილი და დაბინავებულია 3.500 ცენტნერი ხორბალი.

— „კომბაინერებს ხომ არ ემდურით — ვის უქებთ მარჯვენას?

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მომკილ ნაკვეთებს გახედა და კმაყოფილებით თქვა:

— სამდურავი რა სათქმელია, დალოცოთ მარჯვენა! დღისით და ღამით კომბაინებს შეუფერხებლად ამუშავებენ. ნ. ოსაძემ და ნ. ჩიდრაშვილმა ცხრა დღეში 227 ჰექტარი მომკეს, გეგმა კი 130 ჰექტარზე მეტს არ ითვალისწინებდა. რაც მთავარია, მოსავლის დანაკარგი მთლიანად აღკვეთეს. მათ მიერ მომკილ ნაკვეთებში ერთ თავთავს ვერ ნახავთ.

ქების მეტი რა შეიძლება ითქვას ყარაჯალის კოლმეურნეობის მექანიზატორებზე! ა. ახვერდაშვილი, მ. ალაგაზოვი, მ. მამედოვი და მ. ქოსაევი თვითეული ყოველდღიურად 13-14 ჰექტარს მკის.

ჩვენ ეს კოლმეურნეობები დავასახელეთ, მაგრამ რაიონში მათზე უკეთესებიც არიან. სანიორისა და ჯუღაანის კოლმეურნეობებმა პირველებმა დაამთავრეს მოსავლის აღება. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფებმა მომკილი ნაკვეთები შეამოწმეს და თავთავი ყველგან აკრეფილი აღმოჩნდა; არც მარცვალია ჩაბნეული.

კარგია, რომ ყველგან საქებრად იყოს საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. იმის გამო, რომ ზოგან დროულად არ იზრუნეს ნაკვეთებისა და მანქანა-იარაღების მოსამზადებლად, მცოდნე და უნარიანი მექანიზატორების შესარჩევად, მოსავლის აღება ფერხდება.

რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში“ ათ დღეზე მეტია მკიან და 338 ჰექტარიდან 170 ჰექტარზე მეტი არა აქვთ მომკილი. რატომ, რა მიზეზით?

ამ კითხვაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. აბელიშვილმა გვიპასუხა:

— იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილები არ გაგვაჩნია, რის გამო კომბაინები ხშირად ჩერდება. რაც მთავარია, მცოდნე და გამოცდილი მექანიზატორები არა გვყავს. ვისაც რაიმე გაეგებოდა, სხვაგან წავიდა სამუშაოდ.

კი მაგრამ, ვინ აუკრძალა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომ სათადარიგო ნაწილები დროულად მოემარაგებინა, მექანიზატორთა კადრებზე ეზრუნა? რა თქმა უნდა, არავინ. საქმე ის არის, რომ აქ ეს „წვრილმანები“ რატომღაც მხედველობიდან გამორჩათ.

„შაშვიანთ ბაგის ბოლო“, ამ ნაკვეთში, რომელიც 52 ჰექტარს არ აღემატება, კომბაინერი ლ. ძამუკაშვილი იღებს მოსავალს. ცხრა დღე გავიდა და მკას დასასრული არ უჩანს.

— რატომ ვერ ასრულებთ მკის დღიურ დავალებას, რა გიშლით ხელს?

კომბაინერმა ყანას გახედა და გულნატკენმა თქვა:

— მთელმა სოფელმა იცის, რომ მე ზარმაცი კაცი არა ვარ, მაგრამ რა გამოვიდა. ორსამჯერ შემოვუვლი და კომბაინი ჩერდება, ნაკვეთებში ვეებერთელა ლოდები ყრია. უკვე მესამედ გაგვიტყდა კომბაინი. თესვის დროს ნაკვეთების გასუფთავება აზრად არავის მოსვლია. კოლმეურნეობის გამგეობა სუსტად გვეხმარება. პირი გვიშრება და წყლის მომტანი არავინ არის.

კომბაინზე, რომელსაც გ. გურგენაშვილი ამუშავებს, წითელი ალამი ფრიალებს. მისი მაჩვენებლები ვკითხეთ. გამოირკვა, რომ ათ დღეში ოც ჰექტარზე მეტი არ მოუმკია. კი მაგრამ დროშა? იგი შარშანდელი შემორჩენია. განა ასე უნდა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა!

რუისპირის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში დიდძალი პირუტყვია. ზამთრისათვის უამრავი საკვები სჭირდებათ, მაგრამ სოფელში ჯერჯერობით ამ საქმეზე ნაკლებად ზრუნავენ. დღემდე ნამჯა მხოლოდ ორმოც ჰექტარზე შეაგროვეს. რუისპირელებს ავიწყდებათ, რომ ნამჯა, თუ იგი რამდენჯერმე დასველდა, ფუჭდება, კვებით ღირებულებას კარგავს. სამწუხაროდ, აქ არც ნაწვერალზე სიმინდის თესვას აჩქარებენ.

სადილობამ მოატანა, მაგრამ მომტანი არ ჩანდა. კომბაინერები ჩრდილში მივიდნენ და მშრალ საჭმელს შეექცნენ. ვიკითხეთ და გამოირკვა, რომ კოლმეურნეობის გამგეობას დღემდე არ გახსენებია მექანიზატორებისათვის ცხელი კერძების მომზადება.

სადილი კი არა, ბარემ შოკოლადიც მომთხოვონო, ასე აცხადებს კოლმეურნეობის მესვეური.

მომკილი ნაკვეთების თვითეულ კვადრატულ მეტრზე დაბნეულია ხუთი-ექვსი თავთავი, რაც ჰექტარზე საშუალოდ სულ ცოტა ერთი ცენტნერი მოსავლის დაკარგვას ნიშნავს. ამით კოლმეურნეობას სულ 190 ცენტნერი ხორბალი დააკლდება. ეს ჩვენ კი არა, თვითონ რუისპირელებმა იანგარიშეს. მაგრამ განა ანგარიში უშველის საქმეს? დღემდე ერთი ძნა თავთავიც არ აუკრეფიათ, მაშინ როცა ხუთასზე მეტი ახალგაზრდა უსაქმურად დაეხეტება ქუჩებში.

ვანთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. კირვალიძე) ხორბლის ნათესების ნაწილი ბალახს დაუფარავს. მოსავლის აღება აქ ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. ერთი კომბაინი აქვთ და ისიც შეფერხებით მუშაობს. თ. შარვაშიძე 30 ჰექტარის მომკას შვიდ დღეს მოუნდა. თუ ასე გააგრძელა, მოსავლის აღებას თხუთმეტ დღეზე მეტს კიდევ მოუნდება.

მოსავლის აღება ნელი ტემპით მიმდინარეობს კურდღელაურის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე მ. გიორგანაშვილი), 15 ივლისს კომბაინერებმა ი. მესტვირიშვილმა და ს. ფარადაშვილმა 80 ცენტნერზე მეტი მარცვალი ვერ გალეწეს. ბევრად მეტი არც შემდეგ დღეებში გაულეწავთ.

შვიდი კოლმეურნეობის მინდვრები შემოვიარეთ და ერთგანაც ვერ შევხვდით ჩაბნეული თავთავების მკრეფავებს. ფშავლის, იყალთოს, ქვემო ხოდაშნის, კურდღელაურისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში ცოტა თავთავი როდი იკარგება.

ბევრი აქვთ სასაყვედურო აგიტატორებს. რუისპირის კოლმეურნეობაში (პარტბიუროს მდივანი შ. კალანდრიშვილი) აგიტპუნქტი სოფლად, კალოზე მოუწყვიათ. აქ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ კომბაინერებს რა? აგიტპუნქტი იმ ნაკვეთებს, სადაც მოსავლის აღება მიმდინარეობს, ორი-სამი კილომეტრით არის დაშორებული. მექანიზატორებთან სასაუბროდ არავინ მიდის. ასეთივე მდგომარეობაა აკურის, კურდღელაურისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

რაიონში არ არის ისეთი სოფელი, სადაც საექიმო პუნქტი ან საავადმყოფო არ იყოს; ექიმებიც ბევრი არიან და ექიმის თანაშემწეებიც, მაგრამ მინდვრების იშვიათი სტუმრები არიან. მოსავლის აღებაზე მომუშავე მექანიზატორთა და კოლმეურნეთა სამედიცინო მომსახურება მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ.

დრო არ ითმენს. მოსავლის აღებას დაცდა არ უყვარს. მკის დაჩქარება დოვლათს ამრავლებს, დაგვიანება — ამცირებს. თელავის რაიონის მშრომელებმა მოსავლის აღების დასაჩქარებლად მთელი ძალღონე უნდა დაძაბონ.

**რეიდის მონაწილენი:** ნ. ბახსოლიანი — კონდოლის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე; მ. ბლუიშვილი — აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრი; პ. გადარჩენლიშვილი — რუისპირის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე; ნ. იარალოვი — საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის საკ. კორ.; ლ. შიუკაშვილი — ბუშეტის კოლმეურნეობის მექანიზატორი; ს. ქორჩლაძე — „კომუნისტის“ საკ. კორ.

## ესეც ვითომ მომსახურებაა?!

საჩხერიდან 7 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს კურორტი კვერეთი, სადაც დასასვენებლად ყოველი კუთხიდან ჩამოდიან. მაგრამ მგზავრობა ძალიან ჭირს უტრანსპორტობის გამო. დანიშნული არ არის სპეციალური ავტობუსი რაიონისა და ქალაქის მცხოვრებლებისათვის.

განა ასე უნდა დამსვენებელთა მომსახურება?

**ფ. ლელუჩაშვილი,**
**ზ. სამხარაძე,**
**ე. სეზისკვერაძე,**
**პ. ფაჩუაშვილი,**
ჭიათურის მარგანმშენის ტრესტის მუშა-მოსამსახურეები.



ხარისხისათვის ბრძოლა თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფების მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი უბანია.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ზ. ჩხეტიანმა მაშინ გადაიღო, როცა თბილისის 26 კომისრის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ქიმიური წმენდის ფაბრიკის მექანიზებულ საუთოებელ განყოფილებაში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის საგუშაგოს წევრი რუსუდან ცერცვაძე (წინა პლანზე, მარჯვნივ) ამოწმებდა კომკავშირელი ხელოსნის ეკატერინე მაცუკატოვას მიერ შესრულებულ სამუშაოს.

### მკითხველის წერილები მხატვრის კომენტარებით

## ზოგჯერ თქმა სჯობს...

თონის აეროდრომზე მიმსვლელს წერაყინი და თოკიც თან უნდა ჰქონდეს, თანაც მთამსვლელივით გაბედული უნდა იყოს, თორემ აქ რომ ფიცარაყრილი ხიდია, ზედ გამსვლელი ცირკში ჯამბაზად გამოდგება.

მოედანს აღარ იტყვით? — თავისუფლად იცოხნებიან ძროხები, ღორებიც ყურს არ იბარტყუნებენ ვერტმფრინავის ხმაურზე. აქ არავინ იცის, რა დროს მოფრინდება ვერტმფრინავი. ვერც იმას გაიგებ, ქუთაისში არის თუ არა ფრენა.

დგანან მგზავრები მზეში და იცდიან, ელოდებიან ვერტმფრინავის გამოჩენას. ვინ იცის, რა დროს მოვა, ვის შეხვდება ბილეთი და ვინ გაგა ბეწვის ხიდზე.

**დ. ხახიაშვილი.**



## როდის შეაკეთებენ?

რკინიგზის სადგურ ჭიათურასა და დარკვეთს შუა მდებარეობს ჭიქაურის სადგური, რომლის შენობას დაზიანებული აქვს იატაკი, მოაჯირი, კიბე. სამორიგეოში ჩამონგრეულია კედლები, სახურავში წყალი ჩამოდის. არც მგზავრთა მოსაცდელშია სახარბიელო მდგომარეობა.

ეს იციან რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში. დაპირებებიც არ გვაკლია, მაგრამ პრაქტიკული საქმე არ ჩანს.

როდის შეაკეთებენ სადგურის შენობას?

**ალ. კაპანაძე,**
მუშკორი, ჭიათურა.



მხატვარი ი. ქოქიაშვილი.

## ბულდოზერის მოლოდინში...

— ტაქსი თავისუფალია? წავიდეთ დი[...]ვანში.

— ბუკისციხემდე წაგიყვან, თუ გინ[...] — თქვა შოფერმა.

— სხვა რა გზაა, წავიდეთ ბუკისციხ[...]დე! — შოფერი ალმაცერად გვიყურებს [...] ზანტად იღებს კურსს სუფსის ხეობისა[...] ექვსიოდე კილომეტრი გავიარეთ და ბუკის[...]ციხეში მივედით.

— რამდენი კილომეტრია დიდ ვანამდე[...] ვეკითხებით ბუკისციხელ კოლმეურნეებს.

— რამდენიც ჩოხატაურიდან აქამდე!..

— გზა ვარგა?

— არა, ისეთივეა, როგორიც გამო[...]რეთ...

— ათ მანეთ ნაკლებ ვერ წავალ! — მტკიცედ მოჭრა შოფერმა და მანქანი[...] გადმოვიდა. მერე საგულდაგულოდ შეინ[...] ჩვენი ათმანეთიანი და გზა განაგრძო.

სულ 25 კილომეტრია ჩოხატაური[...] ზემო სურებამდე. ეს ვაი-გზა ათიოდე სო[...]ფელს ემსახურება და მართლაც ისეთი[...] ბუკისციხემდე, როგორიც დიდ ვანამდე [...] ზემო სურებამდე, ტობაჩამდე. ტაქ[...] მძღოლები ბუკისციხემდე სახელმწიფო ტ[...]რიფით დადიან, შემდეგ — საკუთარით.

სუფსის ხეობაში მცხოვრებლებს ასე[...] უყურადღებობა არაფრით არ დაუმსახურ[...]ბიათ.

საყოველთაოდ ცნობილია გურიის მთ[...]ბის სიმშვენიერე, მაგრამ, რაღაც საოცარ[...] უნდა იყოს ეს, როცა ამ სიმშვენიერეზე [...] პარაკობენ, არავინ არ გულისხმობს სუფს[...] ხეობას, — ყველაზე ლამაზსა და მომხიბ[...]ლავ მხარეს გურიაში, რადგან უგზობი[...] გამო იშვიათად თუ ვისმე უხილავს ი[...] ბუნებრივი სიმდიდრე ხომ აურაცხელია.

და ყოველივე ეს მიტოვებულია ლ[...] ანაბრად, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერვ[...] ვერ შეძლო ოცდახუთი კილომეტრი გზა [...] ეკეთებინა.

ორი თვის მანძილზე ერთი ტრაქტო[...] და ერთი ბულდოზერი რომ ეთხოვებინათ[...] გაუზედავად ნატრობენ კოლმეურნეები.

საინტერესოა, როდემდე იქნება სურებ[...] გზა მიტოვებული?

**დ. რამიშვილი,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

## ეხმარებიან სკოლებს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოებს სკოლებისადმი საშეფო დახმარების შესანიშნავი ტრადიცია აქვთ.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა მე-3 საშუალო სკოლის შენობის რემონტზე 6 ათასი მანეთის სამუშაოს ასრულებს, კაპიტალურ რემონტს უკეთებს მე-14 სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემას. ავტომშენებლები მოაწყობენ აგრეთვე 32-ე სკოლის ეზოს და აქ მდინარის კალაპოტის გადანაცვლებაზე შეასრულებენ 20 ათასი მანეთის სამუშაოს.

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა გარდა რემონტისა, პირველ საშუალო სკოლას ეხმარება ჩარხდანადგარებით.

ქუთაისის მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ 15 აგვისტოსათვის დაამთავრონ ახალი სასკოლო შენობების მშენებლობა საავტომობილო ქარხნის მუშათა დაბაში 963 მოსწავლისათვის, ხოლო ბესიკის ქუჩაზე — 440 მოსწავლისათვის. ასევე დროულად დაამთავრონ მიშენება-დაშენებისა და სკოლების რემონტის სამუშაოები.

### კონტროლის ჩარევის შემდეგ

## ხარისხი — უწინარეს ყოვლისა

ჩვენში სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი. ამიტომ სავსებით გასაგებია ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ამ საქონლის გამომშვებ საწარმოებს აკისრიათ. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამას წინათ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის დადგენილება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და უსინათლოთა საზოგადოების იმ ქიმიური მრეწველობის საწარმოების მუშაობის შემოწმების შედეგებზე, რომლებიც საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელს უშვებენ.

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ეს საწარმოები სისტემატურად უშვებენ არა კეთილხარისხოვან პროდუქციას. ამის მიზეზებია წარმოების დაბალი ტექნიკური დონე, სრულყოფილი ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლობა, ტექნოლოგიური დისციპლინის უხეში დარღვევა. სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნათა უგულებელყოფა და არასაკმაო კონტროლი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა თავის დადგენილებაში დასახა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის იმ საწარმოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რომლებიც საყოფაცხოვრებო საქონელს უშვებენ.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის დადგენილება განიხილა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პლენუმმა და ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის სხდომამ, რომლებმაც თავის მხრივ დასახეს ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სწორედ ამ ზომების შესახებ აცნობა რედაქციას საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. გაჩეჩილაძემ.

პრეზიდიუმმა დაავალა უსინათლოთა საზოგადოების საწარმოთა ხელმძღვანელებს მკვეთრად გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. ამ მიზნით: 1) აამაღლონ წარმოების მუშაკთა დაოსტატების დონე; 2) მიაღწიონ მასალების უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიურ დამუშავებას; 3) მიიღონ ზომები ფიზიკურად გაცვეთილი ტექნოლოგიური მოწყობილობის ახლით შეცვლის ან მოდერნიზაციისათვის; 4) უზრუნველყონ საწარმოები საჭირო საკონტროლო საზომი იარაღებით, აპარატურითა და ხელსაწყოებით; 5) მეტი ყურადღება მიაქციონ საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის შეფუთვას და მზა პროდუქციაზე ეტიკეტების მხატვრულ გაფორმებას; 6) სისტემატურად შეამოწმონ პროდუქციის ხარისხი, მიღებუ[...] ნედლეულისა და მასალების ვარგის[...]ნობა; 7) ზუსტად აღრიცხონ წუნისა [...] რეკლამაციის თვითეული შემთხვევა [...] გამოავლინონ დამნაშავენი მათ მიმა[...] სათანადო ზომების მისაღებად.

პრეზიდიუმის დადგენილება ითვალი[...]წინებს შესრულების შემოწმებისად[...] მკაცრ კონტროლს და ხელმძღვანელ მ[...]შაკთა მაღალ პერსონალურ პასუხისმგე[...]ლობას.

საქართველოს უსინათლოთა საზოგა[...]დოების ცენტრალური გამგეობის პრეზ[...]დიუმი იმედს გამოთქვამს, რომ ყველა [...] ღონისძიების განხორციელება და ფარ[...] საზოგადოებრიობის მხარდაჭერა შესაძ[...]ლებელს გახდის უახლოეს ხანში მკვე[...]რად გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარი[...]ხი საზოგადოების იმ საწარმოებში, რომ[...]ლებიც საყოფაცხოვრებო ქიმიის საქო[...]ნელს უშვებენ.

## მიღებულია ზომები

ზნაურის რაიონის სოფელ ძვილეთის გზების უვარგისობას ეხებოდა „კომუ[...]ნისტის“ სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით!“ დაბეჭდილი წერი[...] „უგზო სოფელი“. ამის გამო პარტიის ზნაურის რაიკომის მდივანი ბ. თხილიძ[...] რედაქციას ატყობინებს:

წერილში „უგზო სოფელი“ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ამჟამად სოფელ ძვილეთის გზების მოწესრიგებისათვის გამოყოფილია სპეციალუ[...] მექანიზებული ბრიგადა. გზის მშენებლობაზე მუშაობს 2 ექსკავატორი, 15 ავტო[...]მანქანა და სხვა მექანიზმები.

# ალამი დაეშვა



## სერგო ზაქარიაძე — ფესტივალის ლაურეატი

მოსკოვი, 20 ივლისი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს დამთავრდა მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც ორი კვირა გრძელდებოდა. მასში მონაწილეობა მიიღო 67 ქვეყანამ და ოთხმა საერთაშორისო ორგანიზაციამ.

ფესტივალზე წარმოდგენილმა ფილმების უმრავლესობამ გვიჩვენა, რომ დევიზში „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის" განზოგადებული იდეები მრავალფეროვან თემებში და შემოქმედებითი მანერით შეიძლება აისახოს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხელოვანი ცხოვრების სინამდვილის ერთგული იქნება.

ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ ფესტივალის მონაწილენი, სტუმრები. აქ არიან ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. რომანოვი, ჟიურის წევრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ცხადდება ჟიურის გადაწყვეტილება. ფესტივალის დიდი პრიზი მიენიჭა საბჭოთა ფილმს „ომი და მშვიდობა" (რეჟისორი ს. ბონდარჩუკი) და უნგრულ ფილმს „ოცი საათი" (რეჟისორი ზოლტან ფაბრი). ოქროს პრიზები მიენიჭა ფრანგულ ფილმს „თავზე ცაა" (რეჟისორი ივ ჩამპი) და ჩეხოსლოვაკიურ ფილმს „თავდასხმა" (რეჟისორი ირჟი სეკვენსი).

ჟიურის სპეციალური პრიზი მიეკუთვნა რეჟისორ ვალერიო ძურლინის ფილმისათვის „ისინი ჯარისკაცებს მიჰყვებოდნენ" (იტალია).

ვერცხლის პრიზი მიიღო პოლონურმა ფილმმა „სამი ნაბიჯი დედამიწაზე" და ამერიკის შეერთებული შტატების ფილმმა „დიდი რბოლა".

პრიზი საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის მიეკუთვნება იონ პოპესკუ-გოპოს ფილმისათვის „თეთრი მავრი" (რუმინეთი).

სპეციალური პრიზი საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის [illegible] სპეციალური პრიზი მიიღო ბულგარულმა ფილმმა „ქორწინების ნებართვა".

იმ სახელმწიფოების ფილმებისათვის, სადაც კინემატოგრაფია ახლა ვითარდება, დაწესებული იყო სპეციალური პრიზი, რომელიც მიეკუთვნა ალჟირის რესპუბლიკის ფილმს „ასეთია ახალგაზრდა სამყარო".

ჟიურიმ ფესტივალის სპეციალური დიპლომები მიანიჭა რეჟისორებს სუსუმი ჰანის (იაპონია), ვ. მიმიცას (იუგოსლავია), მსახიობებს ბურვილის (საფრანგეთი), ლ. სავლიევას (სსრ კავშირი) და ჯ. კრისტის (ინგლისი). სპეციალური დიპლომი მიიღო აგრეთვე ნორვეგიის კინოორგანიზაციამ „4×4".

ჟიურიმ აღნიშნა, რომ მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალმა ერთხელ კიდევ დაადასტურა მსოფლიო პროგრესული კინოხელოვნების მისწრაფება ჰუმანიზმის დროშით ემსახუროს მშვიდობასა და ხალხთა შორის მეგობრობას.

• • •



სურათებზე: მარცხნივ — ფესტივალის დიდი პრიზი; მარჯვნივ — სერგო ზაქარიაძე გიორგი მახარაშვილის როლში. („ჯარისკაცის მამა").

# „ჯადოქარი" ინტერვიუს იძლევა

მარინა ვლადი ჩინებულად ლაპარაკობს რუსულად. იგი რუსია. მისი სახელია მარინ- ვლადიმერის ასული პოლიაკოვა. იგი დაიბადა პარიზში რუსი ემიგრანტის, ოპერის მომღერლის ვ. პოლიაკოვის ოჯახში. თორმეტი წლის წინათ მარინა ვლადიმ დაამთავრა პარიზის გრან-ოპერას ქორეოგრაფიული სკოლა, რომელსაც რუსი ბალეტმეისტერი ლიფარი ხელმძღვანელობს. 1954 წელს იგი პირველად გადაიღეს ანდრე კაიატის ფილმში „ნიაღვრის წინ".

საბჭოთა მაყურებლებმა მარინა ვლადი პირველად ნახეს უკვე როგორც ცნობილი ფრანგი კინომსახიობი კინოსურათ „ჯადოქარში" (ა. კუპრინის პოპულარული მოთხრობის „ოლესიას" მიხედვით), სადაც იგი ინგას როლს ასრულებს.

— გადაღებული ვარ 37 ფილმში, მაგრამ ყველაზე მეტად მომწონს ჯადოქარის როლი, — ამბობს მარინა ვლადი. — და ძალიან მოხარული ვარ, რომ საბჭოთა მაყურებლებმა პირველად ამ ფილმში მნახეს.

ჩემი მეორე საყვარელი როლია „ფუტკართა დედოფალი". ამ ფილმში მთავარი როლის შესრულებისათვის მომენიჭა პრიზი კანის 1963 წლის ფესტივალზე.

მარინა ვლადი მოგვითხრობს თავის გეგმებზე. საფრანგეთში რომ დაბრუნდება, მას გადაიღებენ კომედიურ ფილმში „შენ, მე და მონა ლიზა". ფილმს გადაიღებს ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი მიშელ დევილი. გადაღება ნიუ-იორკში, რომსა და მიუნხენში იწარმოებს. ამის შემდეგ გადაიღებენ სხვა ფილმს „შუაღამის ზარებს" (შექსპირის კომედიების სიუჟეტზე). ლედი პერსის მთავარი როლი მინდობილი აქვს მარინა ვლადის. ამ ფილმს დგამს ამერიკელი რეჟისორი ორსონ უელსი. და, დასასრულ, წლის ბოლოს დაიწყება რუმინულ-ფრანგული ფილმის „უსახელო ვარსკვლავის" გადაღება. აქაც მარინა ვლადი მთავარ როლში გამოვა.

— ხომ არ გიცდიათ გამოსვლა თეატრალურ სცენაზე?

— ეს მოხდება მომავალი წლის გაზაფხულზე, მე და ჩემი სამი და ერთად გამოვალთ პარიზის თეატრ „ატელიეს" სცენაზე ა. ჩეხოვის პიესა „სამ დაში". ამ სპექტაკლს დგამს ჩეხოვის დრამატურგიის ჩინებული მცოდნე რეჟისორი ანდრე ბარსაკი. ამ სპექტაკლში მე ირინას როლს შევასრულებ, ოლღას როლს — ელენ ვალიე, მაშას როლს — ოდილ ვერსუა. ჩვენი უფროსი და — ოლღა ვარენი შეასრულებს ნატაშას როლს.

უდიდესი მღელვარებით ვფიქრობთ ამ ჩვენს მომავალ პრემიერაზე და ვოცნებობთ იმაზე, რომ როცა სპექტაკლი „გაიმართება", როგორც მსახიობები ამბობენ, მოსკოვში ჩამოვიტანოთ, შემდეგ კი ლენინგრადსა და კიევში ვაჩვენოთ.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რომ მივიღე მიწვევა გავმხდარიყავი მოსკოვის IV კინოფესტივალის ჟიურის წევრი. მომწონს აქ საქმიანი შემოქმედებითი ვითარება, რომელიც ქმნის კინემატოგრაფიის მოღვაწეთა მეგობრულ ურთიერთობას, ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და შემდგომ შემოქმედებას კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

სამი ვაჟიშვილი მყავს, და ჩემი მისწრაფებაა, რომ მათ იცხოვრონ ისეთ სამყაროში, სადაც არასოდეს არ იქნებიან ჯარისკაცები. ფილმ „ჯარისკაცის მამის" შესახებ კი ჩემს აზრს გეტყვი 20 ივლისის შემდეგ.

• • •



სურათზე: მარინა ვლადი.

# რუმინელ კომუნისტთა ყრილობა

ბუქარესტი, 20 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის დილის სხდომა გახსნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა გეორგე აპოსტოლმა. მან რუმინეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების გეგმის თაობაზე ყრილობის დირექტივების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იონ გეორგე მაურერს.

ი. გ. მაურერმა აღნიშნა, რომ რუმინელმა ხალხმა წარმატებით შეასრულა ექვსწლიანი გეგმის ამოცანები და თქვა, რომ დირექტივები, რომლებიც წარმოდგენილია ყრილობის განსახილველად, საფუძვლად დაედება რესპუბლიკის ეკონომიურ მშენებლობას უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში.

ი. გ. მაურერმა აღნიშნა, რომ მომავალ ხუთწლედში უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება ენერგეტიკული, მეტალურგიული, მანქანათმშენებელი და ქიმიური მრეწველობა.

უახლოეს ხუთ წელიწადში, განაგრძო მომხსენებელმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება დაახლოებით 20 პროცენტით გაიზრდება.

ი. გ. მაურერის მოხსენების შემდეგ ყრილობაზე განახლდა კამათი.

# ასე ცხოვრობენ ჩვენი მეგობრები

## სოციალისტურ ქვეყნებში

ბუდაპეშტი. მიმდინარე წლის პირველ 6 თვეში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებამ 6 პროცენტით გადააჭარბა გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს. იმ ზარალისა და სიძნელეების მიუხედავად, რომლებიც წარმოებასა და ტრანსპორტს შეუქმნა წყალდიდობამ, მთელმა მრეწველობამ გეგმა შეასრულა 2 პროცენტის გადამეტებით.

განვლილი ნახევარი წლის მანძილზე შრომის ნაყოფიერება სახელმწიფო მრეწველობაში 5 პროცენტით გაიზარდა. სამრეწველო წარმოების ნამატი ძირითადად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდით.

ბერლინი. პოტსდამის შეთანხმებათა ხელმოწერის 20 წლისთავთან დაკავშირებით პოტსდამში გაიხსნა ამ ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის ექსპონატები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ მაშინ, როცა პოტსდამის შეთანხმებათა შესაბამისად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბოლოოდ აღმოიფხვრა ფაშიზმისა და მილიტარიზმის ნაშთები, დასავლეთ გერმანიაში ეს შეთანხმებანი არ შესრულებულა.

გამოფენის ერთ-ერთი ნაწილი ასახავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მრავალ ღონისძიებას, რომელთა მიზანია ურთიერთგაგების მიღწევა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის მშვიდობისა და გერმანიის ერთობისათვის.

ამავე დროს ის, რომ ბონმა მიიღო „საგანგებო კანონები", მოწმობს პოტსდამის შეთანხმებათა აღმაშფოთებელ დარღვევას. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები სულ უფრო აშკარად ადგებიან ჰიტლერული ფაშიზმის გზას.

სოფია. მდინარე ზლატნა-პანეგის ხეობაში 25 ჰექტარზე მეტ ფართობზე შენდება ბულგარეთში ყველაზე დიდი ცემენტის ქარხანა. მისი ამუშავების შემდეგ ბულგარეთი ყოველწლიურად მიიღებს 1.200 ათას ტონა ცემენტს — ორჯერ მეტს, ვიდრე ბულგარეთის მთელი ცემენტის მრეწველობა უშვებდა 1950 წელს. მუდმივი წყლის წყაროებისა და მახლობლად მდებარე ნედლეულის უდიდესი მარაგის საფუძველზე არსებობს წარმოების შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა.

ვარშავა. 130.000-ზე მეტი სატვირთო და 1.800-ზე მეტი სამგზავრო ვაგონი, 350 ელექტროლოკომოტივი, 200 ელექტრომატარებელი — ასეთია სახელმწიფო ვაგონსაშენებელი ქარხნის „პაფავაგის" მუშაობის 20 წლის ბალანსი. თანამედროვეობა და ტექნიკური პროგრესი, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის მაღალი დონე — აი რა ახასიათებს ამჟამად ამ ქარხანას. მისი წლიური პროდუქციის ღირებულება შეადგენს ორ მილიარდ ზლოტს. 1965 წლის დამლევს ქარხანა გამოუშვებს უკანასკნელ სატვირთო ვაგონს. მომავალში „პაფავაგი" აწარმოებს მხოლოდ ელექტროლოკომოტივებსა და ელექტრომატარებლებს. პოლონეთში მარტო ეს ქარხანა უშვებს ამ პროდუქციას.

„პაფავაგის" სამგზავრო ვაგონები და ელექტროლოკომოტივები დადიან საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის, ჩინეთისა და ჩეხოსლოვაკიის, ეგვიპტისა და საბერძნეთის, ჰოლანდიისა და ერაყის, ინდოეთისა და იუგოსლავიის, რუმინეთისა და უნგრეთის რკინიგზებზე.

(საკდესი).

# გულთა ალმგზნები

## ამბები კომუნისტებზე

◆

მარკოს ანას ნიჭი დიდიხანია აღარ ეკუთვნის მარტო მრავალტანჯულ ესპანეთს. მისი სახელი გასცილდა საზღვრებს, მდინარეებსა და ზღვებს, მთელ მსოფლიოს მოედო. მისი სახელი სიმბოლოა და იმედის მთამნერგავი. იგი ღრმად ჩასწვდომია გულში იმათ, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის, და იმათ, ვისაც თავისუფლება ბრძოლით მოუპოვებია და თავის ბედნიერებასა და მომავალს აშენებს.

მარკოს ანას ბიოგრაფია მოკლე, მაგრამ მდიდარია, მოწმობს ქედმოუხრელი ტყვის რკინისებურ ნებისყოფას. მან 23 წელი გაატარა ფრანკოს საპყრობილეებში. მარკოს ანა 18 წლისა დააპატიმრეს და საპყრობილიდან გამოვიდა, როცა 41 წელი შეუსრულდა. გამოვიდა ამაყი და დაუძლეველი, გაბოროტების ნასახიც არ გამოჰყოლია, თან გამოიტანა გული, მუდამ მზადმყოფი კეთილშობილურ საქმეთა შესასრულებლად. მე წამიკითხავს მისი ლექსები სიმტკიცის შესახებ. ნაწარმოებებში „მე დილეგიდან გეძახი" და „ესპანეთი — სამი ხმა" გულშიჩამწვდომი და უბრალო სიტყვებით დახატულია ესპანეთი თავისი დარდებით, თავისი „ტანჯვითა და პრობლემებით".

იგი აქ, რომში, გავიცანი. ერთ-ერთმა მეგობარმა მოულოდნელად წარმომიდგინა: „მარკოს ანა, ესპანელი პოეტი". სავსებით საკმარისი იქნებოდა ეთქვა მხოლოდ მარკოს ანა. ჩვენ თითქოს დიდიხნის ნაცნობებივით ვიქცეოდით. ეს არის ოპტიმიზმით აღსავსე უბრალო ადამიანი. როცა ვინმე იტყოდა მხიარული ხასიათისაა და ახალგაზრდად გამოიყურებაო, პოეტი უპასუხებდა: „ახლა ხომ დარწმუნდით, რომ საპყრობილეს არ ძალუძს ადამიანის მოსპობა. ამაში თავს იჩენს იდეების ძალა".

ველაპარაკე ჩემს ვენესუელაზე. მან იცის, რომ ბოლივარის სამშობლოში იგი უყვართ და აღტაცებული არიან მისი შემოქმედებით. მისი წიგნები წარმატებით იყიდება, ხოლო შემოქმედება ისეა მიღებული, როგორც მშობლიურ სახლში. მარკოს ანა ხალისით მელაპარაკებოდა ვენესუელაში არსებულ მდგომარეობაზე, ჩემი ხალხის პრობლემებზე. იგი განსაკუთრებით მეკითხებოდა იმას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ივნისში რომში გამართულ ევროპის კონფერენციას პოლიტპატიმართა და დემოკრატიის დასაცავად ვიეტნამში.

„კონფერენცია, — თქვა მარკოს ანამ, — დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მან ყურადღება მიაპყრობინა ადამიანებს ვენესუელაში შექმნილ მდგომარეობაზე, ვენესუელელ პოლიტიკურ პატიმრებზე. როგორც ვთქვი ჩემს გამოსვლაში კონფერენციაზე, — ხაზგასმით აღნიშნა პოეტმა, — მზარდი სოლიდარობის გამოვლინების საყოველთაო ხასიათი ჩვენი დროის კარნახია. ადამიანმა თავს უშიშრად არ უნდა გრძნობდეს, თუ მის ძმას მსოფლიოს რომელიც უნდა იყოს ნაწილში წართმეული აქვს თავისუფლება. დღეს მანძილი აღარ არსებობს. გზა სანტო-დომინგოდან ჩვენს სახლებამდე სახიფათოდ მოკლეა".

მცირე პაუზა. მარკოს ანა მცირე ჩაფიქრების შემდეგ განაგრძობს.

„მსოფლიო, უეჭველია, გამოეხმაურება ჩვენს მოწოდებას — დაეხმაროს ვენესუელის პატრიოტებს, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩვენ არ შევასუსტებთ ჩვენს ღონისძიებებს, ვიბრძოლებთ კონფერენციის იდეების განხორციელებისათვის.."

„მთელი ჩემი ახალგაზრდობა, ნახევარი სიცოცხლე საპყრობილეებში დავტოვე, — ამბობს პოეტი. — თავისუფლად ვერ ვიგრძნობ თავს, სანამ ჩემი თუნდაც ერთი თანამებრძოლი იმყოფება ვენესუელის, სანტო-დომინგოს თუ ესპანეთის დილეგებში. და ვიბრძოლებ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაემხოს ამ საპყრობილეთა კედლები.

მე ვიცი, რომ ვენესუელელ პოლიტპატიმრებს საკმაო სიმამაცე აქვთ. ვაჟკაცები, რომლებიც, სულიერად არ ეცემიან საპყრობილეებში, შეუდრეკელნი არიან. მინდა რამდენიმე სიტყვა ვუთხრა მათ ცოლებს, რომლებიც ბევრი ესპანელი ქალის მსგავსად, იძულებული არიან საპყრობილედან საპყრობილეში იარონ: იამაყეთ, კეთილშობილ მებრძოლთა მეგობრები რომ ხართ; იცოდეთ, რომ ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ თქვენს ტანჯვას; თქვენი ერთგულება ვენესუელის თავისუფლებისათვის ბრძოლის ყველაზე მშვენიერი ფურცელია".

მარკოს ანას ეს სიტყვები ღრმად ჩამწვდა როგორც რევოლუციონერს და როგორც ვენესუელელს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხისათვის და იმ ხალხებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ექსპლოატაციისა და სიღატაკისაგან, დევნისა და ტერორისაგან, ეს სიტყვები იქნება მოწოდება ძმობისაკენ, ოპტიმიზმისაკენ, საბოლოო გამარჯვებამდე ბრძოლისაკენ.

მარკოს ანასთან ვსაუბრობდით იმაზე, რომ ესპანეთისა და ვენესუელის ხალხებს მსოფლიოში ბევრი მეგობარი ჰყავთ, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ მათ მკაცრი განსაცდელის ჟამს. პოეტი მიზიარებს თავის აზრებს საბჭოთა კავშირის უდიდეს მნიშვნელობასა და როლზე ყველა ჩაგრულ ხალხთა ბრძოლაში თავიანთი დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოთა ადამიანებზე, ამ დაუცხრომელ მებრძოლებზე, რომლებიც ერთი ნაბიჯითაც არ უხვევენ დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზას და ახორციელებენ კაცობრიობის დიად იდეალებს. საბჭოთა ადამიანები წინ მიდიან, ოცნებით აღანთებენ ადამიანთა გულს, ბრძოლისათვის აღაფრთოვანებენ ყველა ჩაგრულ ხალხს.

...ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება. ერთმანეთს ვემშვიდობებით. ჩემს თანამოსაუბრეს თვალებში ჩავცქერი. მათში რწმენა, რკინისებური ნებისყოფა და უსაზღვრო გულკეთილობაა. შევთანხმდით ახალი შეხვედრის შესახებ. ხომ კვლავ უნდა შეიყაროს ჩვენი გზები.

პედრო მანუელ ვასკესი,
ვენესუელელი ჟურნალისტი.
რომი, 1965 წ. ივლისი.

# მარსის გამოკვლევა

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დღეს დილით საპლანეტათშორისო კოსმოსურმა სადგურმა „მარინერ-4"-მა გადმოსცა პლანეტა მარსის მე-9 სურათი.

როგორც პასადინის (კალიფორნია) რეაქტიული ძრავების ლაბორატორიის ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, არც ერთი სურათი არ გამოქვეყნდება, სანამ მიღებული არ იქნება პროგრამით დაგეგმილი 21-30 სურათი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, რომ ამერიკელი მეცნიერები გულდასმით სწავლობენ მარსის იმ სურათებს, რომლებიც უკვე მიღებულია სამ მათგანზე სპეციალისტებმა აღმოაჩინეს კვალი რაღაც უწესივრობისა ოპტიკურ თუ რადიო სისტემებში. სურათებზე ერთსა და იმავე ადგილას ჩარჩოზე არის მუქი ლაქა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, არ უნდა იყოს მარსის ობიექტის ანარეკლი, არამედ, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ამ სისტემების უწესივრობით.

# საერთაშორისო ცხოვრება

## ბელგიის კომპარტიის განცხადება

ბრიუსელი, 19 ივლისი. (საკდესი). „ამჟამად ბელგიაში ხელსაყრელი პირობებია იმისათვის, რომ მოხდეს მუშათა და დემოკრატიული ძალების ფართო გაერთიანება რეაქციული გეგმების საწინააღმდეგოდ, რასაც მონოპოლიები და მემარჯვენე კონსერვატორები ისახავენ", — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება მთავრობის კრიზისი. განცხადება გამოქვეყნდა დღეს გაზეთ „დრაპო რუჟში".

სოციალურ-ქრისტიანული პარტიის წარმომადგენელი არმელი, რომელსაც დაევალა ახალი მთავრობის შედგენა, ნათქვამია განცხადებაში, ყოველნაირად ცდილობს დაითანხმოს ბელგიის სოციალისტური პარტია მთავრობაში მონაწილეობაზე. ეს იმას მოწმობს, რომ მონოპოლისტური კაპიტალი ცდილობს რადაც უნდა [illegible]

[illegible]

## გაფიცვა ინდოეთში

დელი, 19 ივლისი. (საკდესი). ფენჯაბის ქალაქ ამრიტსარის საფეიქრო ფაბრიკების მუშებმა ცხრა დღის გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასის მომატებას.

## დიდი კმაყოფილებით

ბრიუსელი, 19 ივლისი. (საკდესი). „[illegible] ხალხი გვენახა მუშაობის დროს და ვნახეთ კიდეც", — წერს გაზეთ „დრაპო რუჟში" გამოქვეყნებულ სტატიაში სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირების [illegible] სექციის დელეგაციის წევრები, რომლებიც ამას წინათ იყვნენ საბჭოთა კავშირში. დელეგაციის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დიდად კმაყოფილი არიან სსრ კავშირში მოგზაურობით და გამოთქვამენ აზრს, რომ კონტაქტები, რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის საქმეს, უნდა გაფართოვდეს.

## ახალი გამარჯვებანი

ჰანოი, 20 ივლისი (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შეიარაღებული ძალების სარდლობამ გამოაქვეყნა კომუნიკე 1965 წლის პირველ 6 თვეში სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების მოქმედების შესახებ. კომუნიკეში, რომელიც „განთავისუფლების" სააგენტომ გამოაქვეყნა და ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადმოსცა, აღნიშნულია, რომ განთავისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა ამ პერიოდში დახოცეს ან დაჭრეს 90 ათასზე მეტი მტრის ჯარისკაცი, მათ შორის 3 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი და ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტი ქვეყნების 300-ზე მეტი ჯარისკაცი.

ამ დროის მანძილზე აღნიშნულია [illegible] დიდ ბრძოლაში, როგორიცაა [illegible] რაიონებში. ამ დროის მანძილზე განთავისუფლების ძალებმა ხელთ იგდეს სხვადასხვა ტიპის იარაღის 20 ათასი ერთეული, მათ შორის 105 და 57 მილიმეტრიანი ქვემეხები, და ჩამოაგდეს სხვადასხვა ტიპის 296 თვითმფრინავი, გაანადგურეს 10 სამხედრო ეშელონი და მოსპეს 396 სამხედრო ავტომანქანა.

განთავისუფლების ძალებმა დაანგრიეს რკინიგზების ბევრი მონაკვეთი, დაანგრიეს 100 ხიდი და 400 კილომეტრი გზა. [illegible] 2.000 სტრატეგიული სოფელი [illegible]

[illegible] სუფლების არმია და ხალხი [illegible] გაიზარდნენ და დიდი გამარჯვებები მოიპოვეს. არმია და ხალხი, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოსპონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესორები და მათი მარიონეტები, ხაზგასმულია კომუნიკეში, მომავალში უთუოდ კიდევ უფრო დიდ დამარცხებას აგემებენ მოწინააღმდეგეს.

## საფრანგეთის პროტესტი

პარიზი, 19 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთმა დღეს ოფიციალური პროტესტი განუცხადა შეერთებულ შტატებს იმის გამო, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა „RF-101" ფოტოები გადაიღო საფრანგეთის ატომური ცენტრის რაიონში პიერლატში (დრომის დეპარტამენტი). [illegible]

## პარტიზანების იერიში

ლონდონი, 20 ივლისი. (საკდესი). [illegible]

## დემონსტრაცია კრიტზე

ლონდონი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ათენიდან იტყობინება, გუშინ საღამოს ჰერაკლიონში (კრეტის კუნძული) მასობრივ მიტინგზე შეიკრიბა 20 ათასზე მეტი კაცი. მათ მოითხოვეს, რომ გადადგეს საბერძნეთის ახალი მთავრობა გეორგიოს ათანასიადის-ნოვასის მეთაურობით.

მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს აგრეთვე, რომ მთავრობაში დაბრუნდეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გ. პაპანდრეუ. ჰერაკლიონის მიტინგი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დემონსტრაციაა გეორგიოს ათანასიადის-ნოვასის წინააღმდეგ, რაც კი ამ ბოლო დღეებში გამართულა.

## ვიზიტად ბონში

ბონი, 19 ივლისი. (საკდესი). დღეს ბონში ჩამოვიდა ჩილეს პრეზიდენტი ედუარდო ფრეი, რომელსაც ახლავს საგარეო საქმეთა მინისტრი გაბრიელ ვალდეს სუბერკასო. გუშინ მიუნხენში, სადაც ფრეი თვითმფრინავით ჩამოვიდა ლონდონიდან, იგი „არაოფიციალურად" შეხვდა და ესაუბრა კანცლერ ერჰარდს. ბონში ფრეი მოლაპარაკებას გამართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ლუბკესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ შრედერთან.

როგორც დასავლეთ გერმანიის გაზეთები იუწყებიან, მთავარი საკითხი, რომელსაც ფრეი განიხილავს ბონის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან, არის ჩილესათვის გრძელვადიანი კრედიტების მიცემა.

## ავღანელ ხალხს

[illegible] ბლობა, რომელიც აშენდება საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. სამირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიაზე ჩამოვიდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ იუსუფი, ავღანეთის მინისტრები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, საბჭოთა და ავღანელი სპეციალისტები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში ს. ფ. ანტონოვი. საზეიმო ცერემონიის შემდეგ ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. იუსუფმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირსა და მის სპეციალისტებს, რომლებიც ავღანეთს ეხმარებიან მრავალი ობიექტის მშენებლობაში.

შემდეგ ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. იუსუფმა, მინისტრებმა და სსრ კავშირის ელჩმა ავღანეთში ს. ფ. ანტონოვმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს ტექნიკუმის მშენებლობის დაწყების შესახებ. ეს დოკუმენტი ჩადეს სპეციალურ კაფსულში, რომელიც პრემიერ მინისტრმა შენობის საძირკველს ჩაატანა.



კონგო (დედაქალაქ ლეოპოლდვილით). ამ სურათზე აღბეჭდილია თანამედროვე კონგოსათვის ტიპიური სცენა — ქალაქ ბოდუენვილში დამშეული მცხოვრებნი სურსათის დარიგებას ელიან. მარიონეტ ჩომბეს თავისი ბატონების — ბელგიელი, ამერიკელი და სხვა ნეოკოლონიზატორების მოგება უფრო აღელვებს, ვიდრე კონგოელი ხალხის ცხოვრება.

ტელეფოტო ჩტკ-საკდესისა.

## ხურავენ გაზეთებს

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იტყობინება, დღეს სამხრეთ ვიეტნამის ფსიქოლოგიური ომის სამმართველომ ბრძანება გასცა საიგონის გაზეთ „ტინ ბაოს" დახურვის შესახებ.

ეს საიგონის მეოთხე ყოველდღიური გაზეთია, რომელიც ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში დახურეს.

## გარდაიცვალა ლი სინ მანი

ლონდონი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჰონოლულუდან იტყობინება, დღეს ჰავაის კუნძულებზე გარდაიცვალა სამხრეთ კორეის ყოფილი დიქტატორი 90 წლის ლი სინ მანი.

ჰავაის კუნძულებზე ლი სინ მანი ცხოვრობდა 1960 წლიდან, როცა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გააძევეს სამხრეთ კორეიდან.

◆

## მაკნამარა საინსპექციოდ გაემგზავრა

პარიზი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რობერტ მაკნამარა საიგონიდან გაემგზავრა სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ობიექტების საინსპექციოდ. იგი ეწვია სამხრეთ ვიეტნამის სამ ნავსადგურს — ნია-ჩანგს, კამ-რანს და კუი-ნიონს, აგრეთვე ამერიკის დიდ ბაზას სამხრეთ-ვიეტნამის ცენტრალურ პლატოზე — პლეიკუს.

◆

## რაკეტის გაშვება გადაიდო

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ გამოირკვა, რომ მეორედ გადაიდო რაკეტა „ატლას-აგენის" გაშვება. ამ რაკეტას ორბიტაზე უნდა გაეყვანა დედამიწის სამი თანამგზავრი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გაშვება, რომელიც თავდაპირველად 15 ივლისისათვის იყო განზრახული, ვერ მოხერხდა „ტექნიკური მიზეზების" გამო.

# ნ. ა. ბერძენიშვილის დაკრძალვა

გუშინ, 20 ივლისს თბილისის მშრომელები დიდი და უსაზღვრო მწუხარებით გამოეთხოვნენ უკანასკნელად თვალსაჩინო ქართველ ისტორიკოსს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბერძენიშვილს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზი, სადაც დასვენებულია მეცნიერის ცხედარი, სავსეა ცოცხალი ყვავილებით, რომლებიც მოიტანეს სამეცნიერო დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებმა, ნ. ა. ბერძენიშვილის მახლობლებმა და მოწაფეებმა.

16 საათზე დაიწყო მშრომელთა გამოთხოვება ნიკო ბერძენიშვილთან.

ჟღერს სამგლოვიარო მუსიკა, ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულში დგანან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები შ. ამირანაშვილი და გ. წერეთელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჩიქობავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ჩიტაია, პროფესორები ი. ანთელავა, ა. აფაქიძე, შ. მესხია, მ. დუმბაძე, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის მეცნიერთა დელეგატები, დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიის წევრები.

აკადემიკოს ნ. ა. ბერძენიშვილთან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ ამხანაგები ვ. ი. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, შ. ი. ჰანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ე. ლოლაშვილი, თ. ე. ჩირქეზია, ა. ნ. ინაური.

18 საათზე დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა, ნათესავებმა და მახლობლებმა გამოასვენეს ნ. ა. ბერძენიშვილის ცხედარი. უნივერსიტეტის სკვერში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგი გახსნა დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ. სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. ლოლაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ი. სურგულაძემ, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ს. ერემიანმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა ზ. ჯანაშიამ.

სამგლოვიარო პროცესია მიდის საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონისაკენ. აქ გაგრძელდა სამგლოვიარო მიტინგი. სამგლოვიარო სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა გ. მელიქიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა მ. ბოკერიშვილმა, პოეტმა კ. კალაძემ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ვ. დონდუამ.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. გაისმის სევდიანი მელოდიები და ნელნელა ეშვება კუბო საფლავში. საფლავი ყვავილებით დაიფარა. (საქდესი).

## თქვენთვის, დედებო



რედაქციაში ხშირად მოდის ახალგაზრდა დედების წერილები. ისინი გვთხოვენ გაზეთის საშუალებით პასუხი გავცეთ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მაგალითად ინჟინერ-ფეიქარ თ. პაპიაშვილს და დიასახლის დ. გოგაძეს აინტერესებთ გაიგონ როგორ მკვებონ ჩვილი ბავშვი; რა და როგორი დოზით მისცენ სხვადასხვა ვიტამინები ბავშვს. დიასახლისი ლ. ბერძნიშვილი გვთხოვს ვურჩიოთ როგორ დაიცვას ბავშვი ინფექციური დაავადებებისაგან და რა არის ბავშვის უმადობის მიზეზი. მასწავლებელ ლ. ბოჭორიშვილს სურს იცოდეს რა იწვევს თანდაყოლილ გულის მანკს და ა. შ.

ამიტომ რედაქციამ გადაწყვიტა შემოიღოს სპეციალური განყოფილება — „თქვენთვის, დედებო!", სადაც გამოვაქვეყნებთ რესპუბლიკის ცნობილი პედიატრების, ექიმების რჩევა-დარიგებას ბავშვის მოვლა-აღზრდის საკითხებზე.

ამ განყოფილებაში წერილები დაიბეჭდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რედაქციით.

დღეს ვბეჭდავთ პირველ წერილს, რომელიც მომავალ დედებს შეეხება. ხომ ყველა ქალმა იცის, რომ ბავშვის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქალის ორგანიზმის მომზადებაზე დედობისათვის.

ბუნებრივია, რომ ამ განყოფილებაში წერილების გამოქვეყნებასთან ერთად დედებს დაგეგმადებათ სხვადასხვა კითხვა. რედაქცია გთხოვთ წერილობით გვაცნობოთ ეს. სპეციალისტები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სიამოვნებით გაგესაუბრებიან და საჭირო დახმარებას გაგიწევენ თავიანთი კვალიფიციური რჩევა-დარიგებით.

# ბავშვი ჯანმრთელი რომ გაიზარდოს

...

პ. ჟურაშვილი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი.

## მოგზაურობა ფოტოაპარატით

# იღებენ ახალ ფილმს

ლენინგრადში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირ - საფრანგეთის ფილმ „მესამე ახალგაზრდობის" გადაღება. ფილმი იქმნება გამოჩენილ ფრანგ ბალეტმეისტერ მარიუს პეტიპაზე. სურათს დგამს რეჟისორი ჟან დრევილი (საფრანგეთი). ფილმის სცენარი დაწერეს ა. გალიჩმა (სსრ კავშირი) და პ. ანდრეოტიმ (საფრანგეთი).

სურათზე: პეტროდვორეცში გადაღების დროს. მარცხნიდან მარჯვნივ: ნიკოლოზ ჩერკასოვი, მარინა სტრიჟენოვა და ფრანგი მსახიობები ჟაკ ფერიერი და ჟილ სიგალი.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)



# მსახიობი, მუსიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, მთარგმნელი, მედიკი

მთელი თავისი მრავალმხრივი ნიჭი ხალხისადმი სამსახურს მოახმარა ჩვენში ინტელიგენციის შესანიშნავმა წარმომადგენელმა პეტრე ნიკოლოზის-ძე ოსიპოვმა.

...

## საკოლმეურნეო სანატორიუმი



ფოტო ნ. რუხნიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა)



# ქართული ფუტკარი — მსოფლიო გამოფენაზე

...

## ამინდი

# როგორი იქნება ზაფხული?

— როგორი ამინდია მოსალოდნელი ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოში? — ასეთი კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თბილისის ამინდის ბიუროს გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსს ს. ბერიევას.

აი რა გვიპასუხა მან.

— ივლისის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში ხშირად არის მოსალოდნელი ელჭექის ხასიათის ხანმოკლე წვიმები, მაქსიმალური ტემპერატურა შიდა დაბლობ რაიონებში თვის ბოლოსათვის 34 გრადუსს მიაღწევს, სანაპირო რაიონში კი — 31 გრადუსამდე.

საერთოდ ივლისში ზღვის სანაპირო რაიონებში მოსალოდნელია ნორმაზე მეტი ნალექები.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების რაოდენობა შედარებით ნაკლები იქნება.

ქართლის ვაკეში საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია 20-23 გრადუსი, კახეთში — 25-27 გრადუსი, რაც ამ თვის მრავალწლიან ნორმასთან შედარებით ერთი გრადუსით მეტია.

თვის ბოლოსათვის ტემპერატურა თანდათანობით აიწევს. მაგალითად, კახეთში მაქსიმალური ტემპერატურა 37 გრადუსსაც კი მიაღწევს.

თუ აგვისტოს სინოპტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, საერთოდ ზაფხული უფრო გრილი და ნალექიანი იქნება. ... ცხელი ამინდი. ნალექები მოსალოდნელია თვის პირველი და მეორე დეკადის დასაწყისში და მესამე დეკადის შუა ნაწილში. დანარჩენ დროს მოველით მშრალ და თბილ ამინდებს. ყველაზე მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელია აგვისტოს შუა რიცხვებში. თვის ბოლოსათვის ტემპერატურა თანდათანობით დაიწევს.

## მეჩაიეთა დასვენება

...

## დ. ი. ჩხიკვიშვილი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი



... მაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სოციალიზმი და იროვნული კულტურის საკითხები".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა დ. ი. ჩხიკვიშვილისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

## რსფსრ მეოთხე ზონაში

**სოხუმის** დინამოელები საკუთარ მოედანზე შეხვდნენ მახაჩყალელ თანაკლუბელებს. მასპინძლებმა მეტოქის კარში სამი ბურთი გაიტანეს, საკუთარში კი მხოლოდ ერთი ბურთი მიიღეს და აქტივში ორი ქულა ჩაიწერეს.

**ზუგდიდის** „ინგურის" მეტოქე ნალჩიკის „სპარტაკი" იყო. აქაც წარმატება ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებს ხვდათ. ზუგდიდელებმა მოიგეს მატჩი 2:0.

**გურჯაანის** „ალაზანი" კიროვაკანის „ლორს" იწვევდა მორიგი მატჩი ჰქონდა. აქ შეხვედრის ბედი ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**ფოთის** „კოლხიდა" საკუთარ მოედანზე თამაშობდა ბაქოს „დინამოსთან" და წარმატებას მიაღწია — მოიგო შეხვედრა 1:0.

## მოსწავლეთა სპარტაკიადა

**მინსკში** რამდენიმე დღეა გრძელდება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. მთელ რიგ სახეობებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები, დამყარებულია რეკორდები.

მორიგი მატჩი ქვეჯგუფში ჩვენს ფეხბურთელებს ბელორუსიის გუნდთან ჰქონდათ. ფინალში გასვლისათვის მათთვის ფრედ კი საკმარისი იყო. შედეგიც ასეთი გამოდგა — 1:1.

ფინალში გასვლა გაინაღდეს აგრეთვე ჩვენმა ჰანდბოლ კალათბურთელებმა. მორიგი მატჩი მათ მოუგეს თურქმენეთის გუნდს ანგარიშით 78:29.

დიდი წარმატება ხვდათ ჩვენს ჩოგბურთელებს. როგორც ჰაბუკთა ისე გოგონათა გუნდებს შორის მათ სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს.

## სპორტული ქრონიკა

● საბჭოთა კავშირს ეწვია იაპონიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. პირველი მატჩი სტუმრებს ქჰონდათ უფაში რსფსრ ნაკრებ გუნდთან და დამარცხდნენ 1:2.

● გორკოში გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. გათამაშდა ცხრა ტური. ჩემპიონატის ორი ლიდერი ქაჯავს — ნ. ალექსანდრია და ა. ჩაიკოვსკაია, რომლებსაც შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა აქვთ.

## „ნეპ-შპორტის" მონაცემებით

ევროპის საფეხბურთო ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამ ასპარეზობას — ევროპის ჩემპიონთა თასის, თასის მფლობელთა თასისა და ბაზრობათა თასის გათამაშებებს.

უნგრეთის სპორტულმა გაზეთმა „ნეპშპორტმა" გამოაქვეყნა საინტერესო სტატისტიკური მონაცემები ამ საპატიო პრიზების უკანასკნელ გათამაშებებზე.

სამივე შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო კონტინენტის 30 ქვეყნის 109 გუნდმა.

სამივე პაექრობის ფინალურ შეხვედრებამდე მიაღწია ხუთი ქვეყნის ექვსმა გუნდმა. ნაჩვენები იქნა შემდეგი შედეგები: ჩემპიონთა თასზე — „ინტერნაციონალე" (იტალია)-„ბენფიკა" (პორტუგალია) 1:0; თასის მფლობელთა თასზე — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" (ინგლისი)-„მიუნხენ 1860" (გფრ) 2:0; ბაზრობათა თასზე — „ფერენცვაროში" (უნგრეთი)-„იუვენტუსი" (იტალია) 1:0.

იმისათვის, რომ გაერკვია ამ სამ ასპარეზობაში ევროპის ქვეყნების წარმატებები უკანასკნელ სეზონში, „ნეპ-შპორტმა" მიმართა ქულების შემდეგნაირ სისტემას. ფინალში გამარჯვებულს — 5 ქულა, დამარცხებულს — 3 ქულა, ნახევარფინალური შეხვედრების მონაწილეებს — თითო ქულა.

ამის შედეგად აი როგორ გამოიყურება „ნეპ-შპორტის" საკლასიფიკაციო სია: იტალია — 9 ქულა („ინტერნაციონალე — 5, „იუვენტუსი" — 3, „ტორინო" — 1); ინგლისი — 7 ქულა („ვესტ ჰემ იუნაიტედი" — 5, „ლივერპული" — 1, „მანჩესტერ იუნაიტედი" — 1); უნგრეთი — 6 ქულა („ფერენცვაროში" — 5, „ვაშაშ დიერი" — 1); პორტუგალია — 3 ქულა („ბენფიკა"); გფრ — 3 ქულა („მიუნხენ 1860"); ესპანეთი — 2 ქულა („ატლეტიკო მადრიდი" — 1, „რეალ სარაგოსა" — 1).

## ფეხბურთი

## ბრაზილიელთა წინადადება

**მსოფლიოს** ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის მოახლოება ფეხბურთის მოყვარულთა წინაშე აყენებს ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც ეხება გარდამავალი პრიზის საკითხს.

...

## კომუნისტი — სპორტი

## ორმაგი წარმატება

**ლონდონი**, 19 ივლისი (საქდესი). ორმაგი წარმატება მოიპოვეს საბჭოთა ველომრბოლელებმა ინგლისის მოის გზებზე „გრან პრის" საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენები პირველად მონაწილეობენ. დიდი პრიზი მოიპოვა კიშინიოველმა ლეონიდ სოგკომ. ძლიერ დასერილ ადგილას ოთხი ეტაპი — 186 კილომეტრი გაიარა 5 საათში, 26 წუთსა და 8 წამში.

მთის ეტაპებზე ტაშკენტელმა იური პომინოვმა მოიპოვა „მთის მეფის თასი".

## სულ უფრო სწრაფად

**ბერლინი**, 19 ივლისი (საქდესი). 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის ახალი რეკორდი — 9 წუთი და 3,9 წამი დაამყარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა ფ. ვიგანდმა. იგი ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელია. ფ. ვიგანდმა 1,5 წამით გააუმჯობესა მოსკოველი ს. ბელიც-გეიმანის რეკორდი, რომელიც შარშან იყო დამყარებული.

## კონკურსი

### დიდების ძეგლის და ქალაქ თბილისის გმირთა მოედნის დაგეგმარების პროექტის ღია კონკურსის პირობების დამატება

დამატებით დიდ სამამულო ომში ... მოედნის დაგეგმარების პროექტის ღია კონკურსის პირობებისა, რაც პრესაში უკვე გამოქვეყნდა, კონკურსის ჟიური აცხადებს, რომ პროექტის შემუშავების დროს კონკურსის მონაწილენი მოვალენი არიან გაითვალისწინონ XVII საუკუნის ისტორიული ძეგლის — მდინარე ვერის ხიდის შენარჩუნება და აღდგენა. (საქდესი).


საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

## სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა

აცხადებს მიღებას 1965-66 სასწავლო წლისათვის სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის განყოფილებაზე.

სტენოგრაფიის განყოფილება ამზადებს სტენოგრაფებს და უმაღლესი კვალიფიკაციის სტენოგრაფებს, მანქანაზე წერის განყოფილება კი — მდივან მემანქანეებს.

...

## თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1965-66 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილებაზე: ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის.

საღამოს განყოფილებებზე: დაწყებითი განათლების პე...

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადება უნდა შემოიტანონ რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ა) დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, ბ) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), გ) ავტობიოგრაფია, დ) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ...

...


## ვუსმინოთ, ვუყუროთ

### რადიო

21 ივლისი

პირველი პროგრამით

09.15 — ქართული ხალხური საცეკვაო მუსიკა, 10.15 — ნ. ქებურიას და ო. შალამბერიძის ლექსები, 10.35 — კათი. ხუთი ესტონური საცეკვაო; კირკორი. რომანსები, 11.15 — ნაწყვეტები შ. მშველიძის ოპერებიდან, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.25 — ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 13.10 — გრ. კალაძე. ქართული სიუიტა, 13.40 — სიმღერები ლოლიტა ტორესის შესრულებით, 14.00 — ა. გლაზუნოვის მესამე სიმფონია (მოსკოვი), 17.15 — კონცერტი ...

... ფრაგმენტები ა. ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გულიდან", 20.15 — სიმღერები დები იშხნელების შესრულებით, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — „ცილისპირული". 21.10 — ბ. ჯილი. მოგონებები (პირველი გადაცემა), 21.50 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — ბაკარ ვასაძე. 23.30 — კონცერტი — „მღერის როზა არმენი".

### ტელევიზია

21 ივლისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ცეროდენა რაინდები", 19.10 — განცხადებები, 19.15 — გადაცემა — „ტამპერეს ოქრო", 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — „საზოგადოების როლი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში", ...

რედაქტორი
დ. მჟავანაძე.